ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 16 ნოემბერი, 2022 №226 (9004) ფასი: 80 თეთრი

გვ.5

შალვა ხაჭაპურიძე: „სამხარაულის ბიურო ამზადებს დასკვნას, რომელიც ჩვენი დასკვნისგან რადიკალურად განსხვავებული იქნება“

სუსი: „აღკვეთილ იქნა დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ ისრაელის მოქალაქის მკვლელობის მცდელობა“



გვ.5

„ოპოზიციას ვადა გაუვიდა“

გვ.3

დავით ჭიჭინაძე: „დღეს ბიზნესმენები, რომლებიც „ქართულ ოცნებას“ აფინანსებენ, თავის დროზე ვანო მერაბიშვილის მზეს ფიცულობდნენ“

„ქართული პოლიტიკისათვის კარგი იქნება, თუ ნაციონალური მოძრაობა მარტივ მამრავლებად დაიშლება“

გვ.2

მამუკა გამყრელიძე: „ჩემთვის ბევრად მნიშვნელოვანია ევროკომისრის ვიზიტი, ვიდრე ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე პროცესები“

გვ.4

„მთავარი ოპოზიციური პარტია“ ჩემთვის გაუგებარი განსაზღვრებაა“

ბიძინა გიორგობიანი: „ნაცპარტიაში მიმდინარე, ერთი შეხედვით, კომიკური პროცესი არ უნდა იყოს სპონტანური და თბილისური უსაქმურობით გამოწვეული“

კრემლი მარცხის გამო ხელს შოიგუს შეაწმენდს?

გვ.4

უკრაინელი ექსპერტი: „ყირიმი, სავარაუდოდ, 2023 წელს გათავისუფლდება“

ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენი მომავალი არის ევროკავშირში, ჩვენ ამის გვჯერა და ჩვენ ამას ერთად მივაღწევთ“

გვ.3

ოლივერ ვარჰეი: „ჩვენ გვჭირდება ეროვნული კონსენსუსი თორმეტივე პრიორიტეტზე“

1993230720223

2 მიხეილ სააკაშვილს ძვლის ტუბერკულოზი არ დაუდასტურდა

5 რუსთავში 18 წლის ბიჭი პიტბულმა დაგლიჯა

5 საქართველოდან თურქეთში წასული ოჯახი მკვლელობაშია ეჭვმიტანილი

6 რუსეთი-უკრაინა: დადგა ომის ახალი ეტაპი

„ქართული პოლიტიკისათვის კარგი იქნება, თუ ნაციონალური მოძრაობა მარტივ მამრავლებად დაიშლება“

მამუკა გამყრელიძე: „ჩემთვის ბევრად მნიშვნელოვანია ევროკომისრის ვიზიტი, ვიდრე ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე პროცესები“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

– ბატონო მამუკა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს, რა ხდება ოპოზიციურ ფლანგზე, რა დაემართა ნაციონალურ მოძრაობას? ვისმენთ შეფასებებს, რომ ძალაუფლებისთვის მიმდინარეობს ბრძოლა და რომ მერაბიშვილი და კეზერაშვილი ცდილობენ მელიას გაშვებას. რა პროცესებთან გვაქვს საქმე და რამდენად აზიანებს ეს დანარჩენ ოპოზიციას?

– დავიწყოთ იმით, რომ ეს ჩვეულებრივი ამბავია. ყველგან და ყოველთვის ძალაუფლებისთვის იბრძვიან. ამიტომ არაფერი გასაკვირი აქ არ არის. როდესაც მეფე წავიდა, მიშა ციხეშია და რეალურად ვეღარ მართავს და ფიზიკურადაც აღარ შეუძლია მართვა, შესაბამისად, გამოთავისუფლდა ადგილი და არა უბრალოდ თავმჯდომარეობა, არამედ რეალური ლიდერობა უნდა ვიღაცას, მათ შორის ნიკა მელიასაც და ალბათ სხვებსაც გაუჩნდათ ამის მადა. ერთია, რომ ოპოზიციის ლიდერი ხარ, მეორე, როგორ მართავ ამას, იმიტომ, რომ იქ არის გარკვეული ფინანსური წყაროები, რაც მიმზიდველია ყოველთვის. მოკლედ, საკმაოდ რთული პროცესია. მელიას თავისი მომხრეები ჰყავს, არის კიდევ სხვა დაჯგუფებები, როგორც თქვენ აღნიშნეთ, იმათაც თავიანთი მომხრეები ჰყავთ და, ვინ გაიმარჯვებს, ვერ გეტყვით.

– შედეგი რა იქნება?

– მთავარია, რა შედეგი დადგება და როგორი იქნება ეს მთლიანად ოპოზიციისთვის. ნაცმოძრაობის მხარდაჭერა ამ ეტაპზე კვლავ სერიოზულია. 11% იყო ბოლო კვლევებით და ეს საკმაოდ დიდი ციფრია. დღევანდელი ნიჰილისტური განწყობის მიუხედავად, მაინც 11% მხარდამჭერი ჰყავთ. აქედან გამომდინარე, ნაცმოძრაობის სერიოზული დასუსტება და მათი დაშლა, რა თქმა უნდა, ოპოზიციურ მხარდამჭერებზე ძალიან ცუდად იმოქმედებს, თუმცა ეს მოხდება პირველ ხანებში, სანამ ამ შოკიდან გამოვა ამომრჩეველი. მერე სიტუაცია შეიცვლება.

– თქვენ ხედავთ, რომ კეზერაშვილი ერევა პროცესებში?

– ვიღაცა რომ ერევა, ფაქტია. აშკარად ჩანს ორი დაჯგუფება, ხაბეიშვილი და ქალაქის საბჭოს დაჯგუფება დავარქვათ ამას და მეორე – პარტიის სტრუქტურების დაჯგუფება. ეს ორი დაჯგუფება რეალურად მთავარი მოთამაშეები არიან. მე არ ვიცი, ამ პროცესს კეზერაშვილი მართავს თუ ვინმე სხვა, მაგრამ, ფაქტი ის არის, რომ მათი პარტიის დასუსტება ამომრჩევლისთვის შოკისმომგვრელი იქნება, მით უმეტეს, თუ პარტია დაიშალა.

– სხვადასხვა დაჯგუფებაა და ყველას თავისი კანდიდატი ჰყავს. ალბათ, ვინც არ უნდა აირჩიონ, მაინც გაიყოფა აზრი შუაზე.

– კი ბატონო, მაინც გაიყოფა. შესაძლოა, დაიშალოს კიდეც პარტია. აქ მთავარია, ვის ხელში დარჩება პარტიული სტრუქტურები და ფინანსური წყაროები.

– ყველა მხარე ცდილობს, მიშას სახელი გამოიყენოს, მას ამოეფაროს, თუმცა თავად სააკაშვილი აცხადებს, ახლა რა დროს არჩევნებიაო.

– ცოტა ცუდი სიტუაციაა, სააკაშვილის ადგილის დაკავება უნდათ და მისი სახელის გამოყენებით ცდილობს ამას ყველა. ვინც არ უნდა გაიმარჯვოს ახლა, რეალურად ის ძალიან სუსტი იქნება, იმიტომ, რომ სააკაშვილი მის გვერდით არ და ვერ იქნება.

– როგორც ჩანს, თავად მიშა არ უჭერს ამ პროცესს მხარს.

– ცხადია, არ უჭერს, რადგან აქ რეალურად ხდება მისი ჩანაცვლება. რატომ დაუჭერს მხარს?! აქედან გამომდინარე, ჩვენ ვხედავთ ძალიან მძიმე პროცესს. თუ პარტია დაიშალა, ეს იქნება შოკისმომგვრელი ამომრჩევლისთვის. შესაძლოა, პირველ ეტაპზე საერთოდ ამ დაშლილი მხარეების განულებაც კი მოხდეს, თუმცა, საბოლოო ჯამში, ეს პოზიტიური იქნება მომავალი ოპოზიციისთვის, რომელიც 2024 წლისთვის ჩამოყალიბდება თუ მას მერე. დღეს რასაც ვხედავთ, ეს არის ნაციონალური მოძრაობის უკან ამოფარებული „ქართული ოცნების“ მმართველობა. მუდმივად ბუასავით იყენებენ ნაცმოძრაობას – აი, ჩვენ თუ არა, მაშინ ნაციონალური მოძრაობა მოვა. კალაძეს ვერ იტანს ვერავინ სრულიად თბილისში, მაგრამ, კალაძეს თუ არ ავირჩევთ, მაშინ ნაცი უნდა ავირჩიოთ?! აი, ასეთი დამოკიდებულებაა და ოდესღაც ეს უნდა დამთავრდეს! ამიტომ ნაციონალების დაშლა, შესაძლოა, თავიდან შოკისმომგვრელი იყოს, მაგრამ სამომავლოდ ქართული პოლიტიკური ველისათვის კარგი იქნება, თუ ნაციონალური მოძრაობა მარტივ მამრავლებად დაიშლება.

– ნიკა მელიას „ქართული ოცნება“ უჭერს მხარსო...

– ზოგი ამბობს, მელიას უჭერსო, ზოგი, პირიქით, ხაბეიშვილსო. „ოცნება“ რეალურად მხარს უჭერს ორივეს, იმიტომ, რომ ყველაზე მეტად მას აწყობს ეს პროცესები. ამით მოგებული დარჩება „ქართული ოცნება“. მიშა სწორს ამბობს, რომ ახლა ამის გაკეთება ნამდვილად არ არის კარგი. თუმცა, თუ არ იქნება ნაციონალური მოძრაობა, „ქართულ ოცნებას“ მტრის ხატი დაეკარგება.

– როდესაც სააკაშვილი მხარს არ უჭერს ამ პროცესს, რამდენად ლეგიტიმური იქნება თუნდაც ეს ახალი არჩევნები?

– როგორც მინიმუმ, ნახევარი ლეგიტიმაცია ექნება. მეორე ნახევარი, ფაქტია, რომ იქნება უკმაყოფილო. თუმცა ჩვენ არ ვიცით, საით უფრო მეტი ნახევარია. მიშას ჩამოშორება უნდათ პროცესიდან, თუმცა უნდათ, რომ გარედან უჭერდეს მხარს სააკაშვილი.

– რას იტყვით ხელისუფლებაში მიმდინარე პროცესებზე? შეასრულებენ 12-პუნქტიან გეგმას? ევროკომისარი სტუმრობს საქართველოს. როგორია მისი გზავნილები?

– ჩემთვის ბევრად მნიშვნელოვანია ევროკომისრის ვიზიტი, ვიდრე ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე პროცესები. გაცილებით მნიშვნელოვანია ოლივერ ვარჰეის ვიზიტი და ევროკავშირის ელჩის განცხადება. დეტალებს თუ მივაქცევთ ყურადღებას, ელჩმა განაცხადა, ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ქვეყანამ მიიღოს სტატუსი. ამისთვის კი საჭიროა, ხელისუფლებამ იმუშაოს 12-პუნქტიანი გეგმის შესრულებაზე და ოპოზიციამ კონსტრუქციულად იმუშაოს მასთან. აშკარად ჩანს, რომ ევროკავშირს უნდა ჩვენთვის სტატუსის მოცემა და ეს მე ვიცი პირადი ურთიერთობის საფუძველზე. უნდათ ამის გაკეთება, მაგრამ ამის საშუალებას არ აძლევს არც მთავრობა და არც ოპოზიცია. რაღაცაზე მაინც უნდა შეთანხმდნენ ხელისუფლება და ოპოზიცია. მცირე საშუალება მაინც უნდა მივცეთ ევროკავშირს, რაიმე ხელჩასაჭიდი, რომ სტატუსი მოგვცენ. მთავარი დამნაშავე რომ ხელისუფლებაა, აქ ორი აზრი არ არის, მაგრამ ოპოზიციაც არ იქცევა სათანადოდ. ერთმანეთის ლანძღვა-გინებაში გაჰყავთ დრო. სამარცხვინო გახდა უკვე ამ ყველაფრის ყურება. ორივე მხარეს მე ვხედავ ძალიან უპასუხისმგებლო საქციელს.

– ბოლო პერიოდია, ასევე აქტიურად საუბრობენ ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებაზე. ამას რამდენად იზიარებთ?

– ამაზე ინფორმაცია ნამდვილად არ მაქვს. თუ ივანიშვილი მობრუნდება და თუ ოფიციალურ სტატუსს მიიღებს, ეს, რა თქმა უნდა, რაღაცა დონეზე შეწყვეტს ლაპარაკს ჩრდილოვან მმართველობაზე, მაგრამ ეს არ შეწყვეტს საუბარს დეოლიგარქიზაციაზე. ამ შემთხვევაში ხომ უფრო მეტი ბერკეტი ექნება ივანიშვილს, რომ ზეწოლა მოახდინოს ხელისუფლების მუშაობაზე. ამიტომ, არა მგონია, ამას აზრი ჰქონდეს.

– ცვლილებებს რამდენად ელოდებით სახელისუფლებო გუნდში?

– წესით, ახლა რასაც ვხედავთ, არც ცვლილებები სჭირდება. როგორც ჩანს, ამ ეტაპზე ღარიბაშვილს მთავრობის უპირობო ნდობა აქვს. ვფიქრობ, არჩევნებამდე არაფერს შეცვლის. მეორე საკითხია, როგორ მუშაობს მთავრობა. იმდენი პრობლემაა ქვეყანაში და ყველაფერი მეორეხარისხოვანი გახდა. დღეს მეუბნებოდნენ, რომ ერთ-ერთი სკოლის დირექტორს დაუბარებია მშობლები, ვერ ვახერხებთ სკოლაში გათბობის ჩართვას, იმიტომ, რომ ფული არა გვაქვს და ბავშვებს თბილად ჩააცვითო. გესმით, რა ხდება?! მერე გამოვა განათლების მინისტრი და ყველაფერი კარგად არისო. არადა, არაფერი არ არის კარგად! გადაგვაყოლეს ამ კინკლაობებს და მთავარი პრობლემები გვერდზე გვრჩება.

ნიკა გვარამია: „ევროკომისარ ვარჰეის დღევანდელი განცხადებები დამაბნეველი და იმედის გამაცრუებელია“

– ევროკომისარ ვარჰეის დღევანდელი განცხადებები დამაბნეველი და იმედის გამაცრუებელია, – ამის შესახებ „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია წერს.

– ევროკომისარ ვარჰეის დღევანდელი განცხადებები საქართველოში დემოკრატიული პროცესების პოზიტიური განვითარების შესახებ დამაბნეველი და იმედის გამაცრუებელია. ეჭვგარეშეა, თუ როგორ იქნება ეს გზავნილები გამოყენებული სამთავრობო პროპაგანდის მიერ: „ქართული ოცნების“ უმძიმესი ავტოკრატიული მმართველობა ევროკავშირის სახელითვე გამოცხადდება ევროკავშირისთვის მისაღებ მმართველობად და უარესი – მთავარი გზავნილი იქნება, რომ მნიშვნელოვანი არ არის არც ევროპარლამენტის, არც სხვა ევროსტრუქტურების თუ საერთაშორისო აქტორების განცხადებები და პოზიცია, რადგან ოლიგარქი ივანიშვილი ბოლოს მაინც ყველაფერს დაალაგებს. ასევე არ იწვევს ეჭვს – ივანიშვილის უძლეველობის მითის განსამტკიცებლად მძიმედ იქნება ექსპლუატირებული ის გარემოებაც, რომ კომისარი ვარჰეი EPP-დან გარიცხული უნგრეთის პრეზიდენტის, ვიქტორ ორბანის გუნდის წევრია და პრემიერი ღარიბაშვილი რამდენიმე დღის წინ სწორედ ორბანს შეხვდა და ორბანმა მას (ანუ ივანიშვილს და არა საქართველოს) მხარდაჭერა აღუთქვა.

სამწუხაროდ, გარდაუვალია ამ არაჯანსაღი სამთავრობო პროპაგანდისტული გზავნილების მასიური ცირკულაცია იმ მიზნით, რომ მძიმედ დაზიანდეს როგორც ქართული პროდასავლური საზოგადოება, ასევე საკუთრივ ევროპული ინსტიტუტების ავტორიტეტიც, – წერს ნიკა გვარამია.

მიხეილ სააკაშვილს ძვლის ტუბერკულოზი არ დაუდასტურდა

მიხეილ სააკაშვილს ძვლის ტუბერკულოზი არ დაუდასტურდა. „პირველებმა“ ექსკლუზიურად მოიპოვა ფთიზიატრის მიერ გაცემული დასკვნა, სადაც წერია, რომ გამოკვლევების შედეგად დაავადება, რომელზეც ეჭვი ჰქონდათ, არ დადგინდა.

„პირველების“ ინფორმაციით, არის კიდევ ერთი დასკვნა, სადაც კიდურების ანთება არის დიაგნოზი. გუშინაც, მთელი დღის განმავლობაში, სხვადასხვა პროფილის ექიმების მიერ სააკაშვილის გამოკვლევა მიმდინარეობდა.

ფაქტია, რომ სააკაშვილის მდგომარეობა დღითი დღე უარესდება. გაუსაძლის ტკივილებთან ერთად, მას უკვე რამდენიმე თვეა, მაღალი ტემპერატურა აქვს და რეკორდულად იკლებს წონაში.

ასევე ცნობილი გახდა, რომ ამერიკელი ექსპერტი, რომელმაც მესამე პრეზიდენტი გასინჯა, სახსარზე სასწრაფო ოპერაციის მომხრე იყო.

ქირურგიული ჩარევის შესახებ რეკომენდაცია შესაძლოა ქართველმა ექიმებმაც გასცენ, თუმცა ოჯახი წინააღმდეგია, ოპერაცია საქართველოში გაკეთდეს.

„შეიწყალეთ ნიკა გვარამია“ – ანნა ფოტიგას თხოვნა სალომე ზურაბიშვილს

„ვთხოვ საქართველოს პრეზიდენტს, შეიწყალოს ნიკა გვარამია“, – ამის შესახებ „მთავარი არხის“ ეთერში, გადაცემაში „დღის სტუმარი“ ევროპარლამენტარი ანნა ფოტიგა საუბრობს.

ფოტიგა ამბობს, რომ „ის ბრალდებები, რომლითაც ნიკა გვარამიაა დაპატიმრებული, სრულიად უმნიშვნელოა და ეს პოლიტიკურად მოტივირებულია“.

ანნა ფოტიგა საუბრობს საქართველოს მესამე პრეზიდენტთან, მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებითაც – ამბობს, რომ მას მკურნალობის საშუალება უნდა მიეცეს.

– ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ, მთავრობასთან ურთიერთობაში პოზიტიურები ვიყოთ, როცა ვთხოვთ, რომ სააკაშვილს მისცეს ჰუმანიტარული მიზნით სამკურნალოდ გასვლის საშუალება, იმიტომ, რომ საქართველოში მისი მკურნალობა, სამწუხაროდ, არ არის სათანადო და არ მოაქვს პოზიტიური შედეგი. მე ვფიქრობ, რომ ეს მდგომარეობა ძალიან აზარალებს საქართველოს, – ამბობს ფოტიგა.

მისივე თქმით, ის მხარს უჭერს საქართველოს ევროკავშირში გაერთიანებას:

– მიუხედავად ჩემი წუხილისა საქართველოში არსებულ სიტუაციაზე, სრულ მხარდაჭერას ვუცხადებ საქართველოს გაერთიანებას ევროკავშირში... ზოგჯერ საჭიროა, არ გავაჩეროთ ყურადღება წვრილმანებზე, მთავარია, ზოგადი ხედვა გვქონდეს სწორი.

ზელენსკი: „ძალიან გთხოვთ, თავს გაუფრთხილდით და ცოტა ხანი დარჩით თავშესაფრებში“

უკრაინის პრეზიდენტი უკრაინაზე რუსეთის მასობრივ სარაკეტო თავდასხმას გამოეხმაურა და ვიდეომიმართვა სოციალური ქსელით გაავრცელა. ვოლოდიმირ ზელენსკის თქმით, უკრაინის თავზე მტერმა 80-ზე მეტი რაკეტა გაისროლა, მათი უმეტესობა – ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მიმართულებით – „გასაგებია, რაც სურს მტერს. ის ვერ მიიღებს იმას, რაც სურს“, – აღნიშნა ზელენსკიმ და დასძინა, რომ მოსალოდნელია კიდევ 20 სარაკეტო იერიში:

– ამიტომ, ძალიან გთხოვთ: თავს გაუფრთხილდით და ცოტა ხანი დარჩით თავშესაფრებში. ვიცი, რომ ბევრ ქალაქში შეწყდა ელექტრომომარაგება, ვმუშაობთ, ყველაფერს აღვადგენთ, გადავრჩებით, – ხაზგასმით აღნიშნა ზელენსკიმ.

რუსეთმა უკრაინის ქალაქებზე, მათ შორის დედაქალაქ კიევზე გუშინ მორიგი მასობრივი სარაკეტო თავდასხმა განახორციელა.

უკრაინის შეიარაღებული ძალების საჰაერო ძალების მონაცემებით, ოკუპანტებმა უკრაინის თავზე 100 რაკეტა გაისროლეს.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ოპოზიციას ვადა გაუვიდა“

ნათია ხურცილავა

„ტრიბუნას“ თავმჯდომარე, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

დავით ჭიჭინაძე: „დღეს ბიზნესმენები, რომლებიც „ქართულ ოცნებას“ აფინანსებენ, თავის დროზე ვანო მერაბიშვილის მზეს ფიცულობდნენ“

– ბატონო დავით, ირაკლი ღარიბაშვილმა ევროკომისარ ვარჰეის შესჩივლა, რომ ოპოზიცია აქტიურად არ არის ჩართული 12 რეკომენდაციის შესრულებაში, რომ პირველ რეკომენდაციას დეპოლარიზაციასთან დაკავშირებით არ ითვალისწინებს. რას იტყვით?

– რეალობა ის არის, რომ არც ევროკავშირისკენ მივდივართ და არც დეპოლარიზაციისკენ. ორივე მხარეს აწყობს პოლარიზებული, დაძაბული გარემო. ყველა ორმაგი სტანდარტით მოქმედებს. დეოლიგარქიზაციასთან, სასამართლო სისტემასთან დაკავშირებით არანაირი პროგრესი არა გვაქვს. არც ეკონომიკური ზრდა და გარღვევა იგრძნობა, გაურკვეველი და გაუგებარი განცხადებები კეთდება.

– ევროკავშირი მოგვცემს სტატუსს? რამდენად იმედისმომცემი იყო ევროკომისრის ეს ვიზიტი?

– უნდა მოგვცენ! ეს იქნებოდა სწორი გადაწყვეტილება ევროკავშირის მხრიდან, რადგან, თუ უნდა, ხელისუფლება რუსული გავლენებისგან გათავისუფლდეს, მაშინ ევროკავშირმა ეს შესაძლებლობა, ეს შანსი უნდა გამოიყენოს.

ქართველი ხალხი რომ იმსახურებს, ევროპული ცივილიზაციის ნაწილი იყოს, ამაზე არც კი ვსაუბრობ. სუფთა პრაგმატული კუთხით უნდა მოგვცენ. ვნახოთ. როდესაც ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსი გვექნება, მაშინ არც ხელისუფლება და არც ოპოზიცია არ მოიქცევა ისე, როგორც დღეს იქცევა. ეს ბევრ რამეს შეცვლიდა თუნდაც შიდა პოლიტიკური პროცესების მხრივ, მაგრამ ეს არ აწყობს არც ხელისუფლებას და არც ოპოზიციას.

– როგორ ფიქრობთ, რა ხდება ოპოზიციაში?

– ოპოზიციას არ გააჩნია არავითარი დღის წესრიგი, არ შესწევს ძალა, შეცვალოს ხელისუფლება. ეს არის მოცემულობა, რომელიც გვაქვს. ოპოზიცია, რომელიც კომფორტულად გრძნობს თავს და პარლამენტში მშვენივრად დაბინავდა, ხალხის მოთხოვნების ადეკვატური არ არის. შესაბამისად, ის ვერ შეცვლის ხელისუფლებას.

– ოპოზიცია პარლამენტში კომფორტულად გრძნობს თავს?

– რა თქმა უნდა, რა პრობლემა აქვთ? არ დადიან მივლინებებში, არ სხედან კაბინეტებში, არ ემსახურებათ მანქანები, არ აქვთ ხელფასები თუ რა?! მხოლოდ ხალხი იბრძვის ცვლილებებისთვის და არა ეს ადამიანები. ეს ადამიანები ერთხელ უკვე გაურიგდნენ ხელისუფლებას და ახლა არაფერში აწყობთ უკან დაბრუნება. ხალხის მხრიდან ახალი პოლიტიკური ძალის დაკვეთაა.

– ამ ოპოზიციამ საკუთარი თავი ამოწურა?

– დიახ, ამოწურა. გამოჩნდნენ ის თავები, რომლებიც გარიგებაში იყვნენ ხელისუფლებასთან. ამ ადამიანებმა 2021 წლის დასაწყისში ცვლილებები შეაჩერეს, საპროტესტო მუხტი ჩააქრეს. ხალხი ქუჩაში იყო გამოსული ცვლილებებისთვის, მაგრამ დღეს რას ვხედავთ? – ხალხი ნიჰილიზმმა და იმედგაცრუებამ მოიცვა. ერთადერთ ხსნას ისინი ქვეყნის დატოვებასა და ემიგრაციაში ხედავენ. ამიტომ გარბიან ქვეყნიდან. ამ მთავრობას რომ უსმინო, ეკონომიკური გარღვევა გვაქვს, ისეთი ზრდის მაჩვენებლები, რომ ოჯახებმა არ იციან, სიმდიდრე სად წაიღონ.

– ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე პროცესები მხოლოდ შიდაპარტიული ინტრიგაა?

– შიდაპარტიული ინტრიგა და ბრძოლა ძალაუფლებისთვის. ეს ხალხი ისევ გავლენებისა და კვოტების აღდგენისთვის იბრძვის, რომ მერე კარგად ივაჭრონ ხელისუფლებასთან.

– ვისზე საუბრობთ, კეზერაშვილზე, მერაბიშვილზე? პოზიციებს იბრუნებენ?

– დიახ.

– მერაბიშვილი იბრძვის ნაციონალურ მოძრაობაში ძალაუფლების დაბრუნებისთვის?

– დიახ, რა თქმა უნდა. თუ გადახედავთ სიებს, ნახავთ, რომ მისი ხალხია. რეგიონულ სტრუქტურებს მისი კადრები ხელმძღვანელობენ. დღეს ბიზნესმენები, რომლებიც „ქართულ ოცნებას“ აფინანსებენ, თავის დროზე ვანო მერაბიშვილის მზეს ფიცულობდნენ. ამიტომ ვამბობ, რომ ამ ოპოზიციას ვადა გაუვიდა. ხელისუფლების შესაცვლელად ჯერ ეს ოპოზიცია უნდა შეიცვალოს, რომ „ქართულ ოცნებას“ ყველა არჩევნების წინ მუდმივად არ ჰქონდეს სათქმელი, ნაციონალურ მოძრაობას ხომ ვჯობივარო.

ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენი მომავალი არის ევროკავშირში, ჩვენ ამის გვჯერა და ჩვენ ამას ერთად მივაღწევთ“

– საქართველო არის ევროპული არჩევანის ერთგული, ეს არის ჩვენი ისტორიული არჩევანი, ეს არის ჩვენი თაობების არჩევანი და ჩვენი თაობების ოცნება, რომ ჩვენ გავხდეთ ევროპული ოჯახის ღირსეული და სრულუფლებიანი წევრი და ამ გზაზე ჩვენ ვაკეთებთ მაქსიმუმს, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, მთავრობის ადმინისტრაციაში, ევროკომისარ ოლივერ ვარჰეისთან ერთობლივ ბრიფინგზე განაცხადა.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, 2012 წლის შემდეგ, რაც „ქართული ოცნების“ გუნდი მოვიდა ხელისუფლებაში, ყველა ხელშესახები შედეგი ევროპულ გზაზე არის სწორედ მმართველი პარტიის დამსახურება.

– ბატონო კომისარო, დიდი პატივია ჩემთვის გიმასპინძლოთ საქართველოში. მინდა გულითადად მოგესალმოთ და მადლობა გადაგიხადოთ ჩამობრძანებისთვის.

ბატონი ოლივერ ვარჰეი არის ჩვენი ქვეყნის ნამდვილი მეგობარი, ჩვენი ხალხის მეგობარი, ჩვენი ქვეყნის ევროპული არჩევანის აქტიური მხარდამჭერი და მე მინდა მას, ჩვენი მთავრობის სახელით კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო მისი პირადი წვლილისთვის, რომელიც მას შეაქვს ჩვენი ქვეყნის ევროპიზაციის გზაზე.

ასევე, მინდა ვთქვა, რომ ბატონი ვარჰეის ვიზიტი არის პირველი ვიზიტი მას შემდეგ, რაც ევროპულმა საბჭომ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება ივნისის თვეში, როცა საქართველომ მიიღო ევროპული პერსპექტივა. რა თქმა უნდა, ჩვენთვის ეს არის ძალიან დიდი მოტივაცია, ამასთანავე, ეს არის დიდი პასუხისმგებლობაც ჩვენი მმართველი ძალისთვის, ჩვენი მთავრობისთვის, ჩვენი ხალხისთვის. ჩვენ ეს კარგად გვაქვს გააზრებული და სწორედ ამ პასუხისმგებლობით, ამ სულისკვეთებით ვმუშაობთ 12 რეკომენდაციის შესრულებაზე, ზედმიწევნით.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, საქართველო ყველა დონეზე მხარს უჭერს უკრაინასა და უკრაინის სუვერენიტეტს. მისი თქმით, საქართველომ ომი 2008 წელს გამოცადა, რა თქმა უნდა, სხვა მასშტაბით.

– დღეს მსოფლიოში არის ძალიან დიდი გამოწვევა, ბუნებრივია, უკრაინაში არის გამოწვევა ჩვენი რეგიონისთვის, მთელი მსოფლიოსთვის, ევროპისთვის. რა თქმა უნდა, ჩვენ კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ მაქსიმალურად, ყველა დონეზე მხარს ვუჭერთ უკრაინას, უკრაინის სუვერენიტეტს, მათ დამოუკიდებლობას. ჩვენი საერთო სურვილი არის, რომ ეს ომი დასრულდეს რაც შეიძლება მალე. რა თქმა უნდა, ჩვენმა ქვეყანამ გამოსცადა ასეთი ომი, რა თქმა უნდა, სხვა მასშტაბით. 2008 წელს. როგორც უკვე აღვნიშნე, მას შემდეგ გრძელდება ეს გამოწვევა ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი ხალხისთვის და ასევე, ბოლოს მინდა ვთქვა, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა ძალიან სწრაფად იქნა აღდგენილი პანდემიის შემდეგ. ჩვენ შარშან საკმაოდ სწორი, გონივრული და ეფექტიანი ნაბიჯები გადავდგით. შარშან ჩვენ გვქონდა ორნიშნა ეკონომიკური ზრდა, ბატონო კომისარო. წელსაც, მიუხედავად ამ გამოწვევებისა და ამ რთული მდგომარეობისა, ჩვენ გვაქვს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა 9 თვეში, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

* * *

ოლივერ ვარჰეი: „ჩვენ გვჭირდება ეროვნული კონსენსუსი თორმეტივე პრიორიტეტზე“

– ჩვენ გვჭირდება ეროვნული კონსენსუსი თორმეტივე პრიორიტეტზე. ეს ყოველთვის ასე იყო, ნებისმიერი კანდიდატის შემთხვევაში, არა აქვს მნიშვნელობა პოლიტიკურ ბრძოლასა და კონიუნქტურას, ეს არის მიზანი, რომელიც უფრო დიდია, ვიდრე ნებისმიერი თაობა, – ამის შესახებ ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარმა ოლივერ ვარჰეიმ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

ოლივერ ვარჰეიმ იმედი გამოთქვა, რომ ყველა პოლიტიკური პარტია დაინახავს ევროკავშირისგან უნიკალურ შეთავაზებას და გამოიყენებენ ამ შესაძლებლობას.

– დღეს მე ხმას მივაწვდენ პარლამენტის ყველა წევრს. შევხვდები პარლამენტის თავმჯდომარეს, პოლიტიკურ გუნდს და ჩემი გზავნილი იქნება იგივე, ჩვენ გვჭირდება ეროვნული კონსენსუსი თორმეტივე პრიორიტეტზე. ეს ყოველთვის ასე იყო, ნებისმიერი კანდიდატის შემთხვევაში. მაგალითად, ჩემი ქვეყანა რომ ავიღოთ, უნგრეთში ეს იყო ჩვენი ეროვნული კონსენსუსის შემადგენელი. არა აქვს მნიშვნელობა პოლიტიკურ ბრძოლასა და კონიუნქტურას. ეს არის მიზანი, რომელიც უფრო დიდია, ვიდრე ნებისმიერი თაობა. ამიტომ, იმედი მაქვს, რომ მე მექნება კარგი ამბები საქართველოდან ბრიუსელისკენ წასაღებად, იმიტომ, რომ პარლამენტი არის მნიშვნელოვანი ასპექტი ამ თანხმობაში. ეს არის მნიშვნელოვანი დიდი რეფორმები, რომლებიც ხორციელდება ქვეყანაში.

პრემიერის განცხადებით, ჩვენი მთავარი ამოცანა და მიზანი მშვიდობიანი გზით ქვეყნის დეოკუპაცია და გამთლიანებაა.

– ჩვენ კარგად გვესმის, თუ რა რეალობის წინაშე გვიწევს დღეს ცხოვრება, ეს არის ოკუპაცია, ჩვენი ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი, 20% არის ოკუპირებული, მოგეხსენებათ კარგად, ბატონო კომისარო, ეს არის დიდი გამოწვევა ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი ხალხისთვის. ჩვენი მთავარი ამოცანა და მიზანი არის ჩვენი ქვეყნის დეოკუპაცია მშვიდობიანი გზით და ჩვენი ქვეყნის გამთლიანება, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის ადმინისტრაციაში, ევროკომისარ ოლივერ ვარჰეისთან ერთობლივ ბრიფინგზე განაცხადა.

პრემიერ-მინისტრმა 12 რეკომენდაციის შესრულების პროცესში აქტიური ჩართულობისთვის ევროკომისარსა და ევროკომისიის შესაბამის სამსახურებს მადლობა გადაუხადა.

მისი თქმით, კანდიდატის სტატუსი არის ქვეყნის სტატუსი. შესაბამისად, ეს ეკუთვნის საქართველოს ყველა მოქალაქეს.

ღარიბაშვილი განცხადებით, ოპოზიციის მიზანი არ ყოფილა და არ არის ჩვენი ქვეყნის წარმატება ევროპულ გზაზე.

– ოპოზიციის მიზანი არ ყოფილა და არ არის ჩვენი ქვეყნის წარმატება ევროპულ გზაზე, კარგად მახსოვს, როცა აქტიურად ვმუშაობდით უვიზო რეჟიმზე, ოპოზიციის ლიდერები ბრიუსელში ერთადერთი მესიჯით დადიოდნენ, რომ ჩვენი ხელისუფლების და მთავრობის პირობებში, ქვეყანას არ მიეღო უვიზო რეჟიმი, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარ ოლივერ ვარჰეისთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ ივნისში ოპოზიციის მხარდამჭერი ევროპელი პარტიების წარმომადგენლები გაერთიანდნენ და მიიღეს საქართველოს საწინააღმდეგო რეზოლუცია მაშინ, როცა ევროპულ საბჭოს და ევროპულ ქვეყნებს ისტორიული გადაწყვეტილება უნდა მიეღოთ.

პრემიერ-მინისტრის თქმით, ეს იყო საბოტაჟი საქართველოს წინააღმდეგ.

– ჩემს მიმართვაში მე კიდევ ერთხელ გავუსვი ხაზი იმას, რომ აუცილებელია ამ პროცესში ოპოზიციის ჩართულობა. პირველი რეკომენდაცია, პრიორიტეტი, რომელიც განისაზღვრა ევროპული საბჭოს მიერ, არის დეპოლარიზაცია, ანუ პოლარიზაციის დასრულება საქართველოში, რაც საკმაოდ რთული ამოცანაა, მაგრამ ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელია ოპოზიციის ჩართულობის გარეშე. დანარჩენ 11 რეკომენდაციაზე ჩვენ, რა თქმა უნდა, ვმუშაობთ, გვაქვს აქტიური პროგრესი. ამის თაობაზე ოფიციალური ინფორმაცია და რეპორტი გადაეცემა ბატონ კომისარს. რაც შეეხება ოპოზიციის მიზანს, მე არ მინდა ბატონი კომისარი დავტვირთო ამდენი დეტალებით, მაგრამ მინდა, ძალიან მოკლედ ვთქვა, რომ სამწუხაროდ, მათი მიზანი არ ყოფილა და არ არის ჩვენი ქვეყნის წარმატება ევროპულ გზაზე, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ევროკომისარმა აღნიშნა, საქართველომ ძალიან კარგად აჩვენა, რომ მხოლოდ ევროკავშირი გაწევრიანება არის საქართველოს ძლიერი და მყარი მიზანი და ამისთვის საჭიროა გრძელვადიანი სტაბილურობა და მშვიდობა.

– მე ჩამოვედი, როგორც ევროკომისარი სამეზობლო და გაფართოების საკითხებში. ეს პირველად არის ამ რანგში. არა მარტო სამეზობლო პოლიტიკის, არამედ გაფართოების მანდატითაც ჩამოვედი, ორივე მიმართულება მნიშვნელოვანია, იმიტომ, რომ მიმაჩნია, აი, ამ სირთულეების პირობებში, რომელიც ორივეს გვიდგას წინ და აი, ამ ახალი გეოპოლიტიკური წნეხისა და პერიოდის პროცესში საქართველომ ძალიან კარგად დაგვანახა, რომ მხოლოდ ევროკავშირი გაწევრიანება არის საქართველოს ძლიერი და მყარი მიზანი.

მისივე თქმით, საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მხარს უჭერს ევროკავშირში გაწევრიანებას, ეს არის ძალიან ძლიერი მანდატი არა მარტო მთავრობისთვის, არამედ მთელი პოლიტიკური ელიტისთვის ქვეყანაში.

– ვხედავთ, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მხარს უჭერს ევროკავშირში გაწევრიანებას, ეს არის ძალიან ძლიერი მანდატი არამარტო მთავრობისთვის, არამედ მთელი პოლიტიკური ელიტისთვის ქვეყანაში და ყველა, ვინც აქტიურია და მუშაობს ამ საკითხებზე, მას ეხება, ამიტომ დღეს აქ ჩამოვედით ძალიან მკაფიო მიზნით – გვინდა, დაგეხმაროთ საქართველოს მოსამზადებლად, დაგეხმაროთ ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანებაში და აი ამ მიმართულებით გვინდა, რომ ერთად ვიაროთ წინ, – აღნიშნა ვარჰეიმ.

ოლივერ ვარჰეის განცხადებით, ფუნდამენტური შეთანხმება უნდა არსებობდეს მიზანზე და ამოცანებზე, რომელიც მიგვიყვანს ევროპისკენ. რა თქმა უნდა, მთავრობას ყველაზე

გაგრძელება მე-4 გვერდზე

„მთავარი ოპოზიციური პარტია“ ჩემთვის გაუგებარი განსაზღვრებაა“

ბიძინა გიორგობიანი: „ნაცპარტიაში მიმდინარე, ერთი შეხედვით, კომიკური პროცესი არ უნდა იყოს სპონტანური და თბილისური უსაქმურობით გამოწვეული“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს უზენაესი საბჭოს დეპუტატი ბიძინა გიორგობიანი პასუხობს.

– ბატონო ბიძინა, ნაცმოძრაობაში მიმდინარე პროცესებს როგორ აფასებთ? მელიას წინააღმდეგ ლამის შიდა ომი დაიწყო. მისი გადადგომა და შიდა არჩევნების ჩატარება მოითხოვეს. ერთდროულად არაერთი ლიდერი გამოჩნდა, რომლებსაც ამ პოსტის დაკავება უნდათ. მელია ცხელ შემოდგომას წინასწარმეტყველებდა და ცხელი შემოდგომა მას დაუდგა. რამდენადაც ვიცი, ნაცმოძრაობაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით თქვენ განსხვავებული აზრი გაქვთ.

– მელიას წინააღმდეგ ნაცების აჯანყებაზე ვხუმრობთ, მაგრამ, შთაბეჭდილება მრჩება, რომ ბოლო დროის საინფორმაციო ომების მთავარი მიზანი ნაცების „მთავარ ოპოზიციურ პარტიად“ მონოპოლიზება და საბოლოო ჩაბეტონებაა.

– მთავარ ოპოზიციურ ძალას ისედაც უწოდებდნენ, ანუ მელია იქნება თუ რომელიმე სხვა, მნიშვნელობა არა აქვს და სულ სხვა მიზეზებით არის ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე პროცესები გამოწვეული?

– ნაცპარტიაში მიმდინარე, ერთი შეხედვით, კომიკური პროცესი არ უნდა იყოს სპონტანური და თბილისური უსაქმურობით გამოწვეული. ალბათ, უფრო კოორდინირებული საერთაშორისო პროექტია.

– რა შეიძლება იყოს ამ პროექტის მიზანი?

– პროექტის მიზანი უნდა იყოს ახლო მომავალში ხელისუფლების ალტერნატიული ძალის ხელოვნურად შექმნა. შიდაპარტიული არჩევნების შემდეგ კარგად გაპიარებული, მოჩვენებითი შიდა დემოკრატიით ნაცმოძრაობის წარმოდგენაა დაახლოებითი ასეთი შინაარსით: მათ არჩევნებით გადასცეს ხელისუფლება ოპოზიციას 2012 წელს და არჩევნებით გადაირჩიეს პარტიის თავმჯდომარე. ე.ი. ისინი ცივილიზებული ევროპის წესებით ცხოვრობენ და ჩვენნაირები არიანო.

– ანუ ამ პროექტის განხორციელებით ნაცმოძრაობა დემოკრატის იმიჯს მოირგებს?

– ანუ ამ პროექტის განხორციელებით უნდათ, საზოგადოების წინაშე ნაცპარტია წარდგეს პროდასავლური იმიჯით, დაპატიმრებული, ავადმყოფი ლიდერითა და დასავლური ინსტიტუციების უპირობო აღიარებით.

– შედეგი რა იქნება?

– ასეთი პოლიტიკური ცენტრის გარეშემო მედიისა და სხვა მასობრივი მოქმედების საშუალებებით მოახდენენ ამომრჩეველთა მობილიზებას, ანუ სხვადასხვა მეთოდით მათ ხმებს უშოვიან, რაც, კვლევების თანახმად, ყველაზე დიდი პრობლემაა ნაცებისათვის.

რადგან წინა წლების პრაქტიკამ აჩვენა, რომ საქართველოში რევოლუცია აღარ გამოდის, ამ პროცესმა 2024 წელს შედეგად უნდა მოიტანოს დღეს არსებული პოლიტიკური სტატუსკვოს რეალური ალტერნატივა.

– შედეგად საქართველოს რა ელოდება?

– ასეთი სცენარის განხორციელებით საქართველო დაუბრუნდება „სახელმწიფო პროვოკატორის“ როლს, რომელსაც 2012 წლამდე ასრულებდა და ისევ სხვადასხვა რეგიონულ კონფლიქტში გამოსაყენებელი მცირეკალიბრიანი ინსტრუმენტი გახდება.

– რამდენად შესაძლებელია ამ სცენარის განხორციელება?

– ამ სცენარის განხორციელება გაუძნელდებათ.

– როგორ?

– მთავარი, რაც ამ სცენარის განხორციელებას შეუძლებელს ხდის, ესაა ძველი, სისხლიანი პოლიტფიგურებისა და კეზერაშვილის უდავოდ კრიმინალური ფულის გამოყენება.

– ამბობთ, ნაცმოძრაობაში მიმდინარე პროცესები და პარტიის თავმჯდომარის არჩევნები შეიძლება უფრო კოორდინირებული საერთაშორისო პროექტი იყოსო. რა გაფიქრებინებთ, რომ ნაცმოძრაობაში მიმდინარე პროცესები შეიძლება კოორდინირებული საერთაშორისო პროექტი იყოს? რაღაც სერიოზული პროცესი რომ მიმდინარეობს, ცხადია, რადგან განაცხადეს, პირველ რიგში ჩვენი მომხრეების რეგისტრაცია უნდა მოხდესო.

– ნაცმოძრაობაში მიმდინარე პროცესები კოორდინირებული საერთაშორისო პროექტი რომ შეიძლება იყოს, ამას გარკვეული ფაქტების არსებობა მაფიქრებინებს, ერთი რაღაც კომპონენტი არ არის, რამდენიმე საკითხის თანხვედრა მოხდა.

ეს არის საერთაშორისო ინსტიტუტებში მიღებული რეზოლუციების ერთობლიობა და საქართველოს საგულდაგულო დისკრედიტაცია, რომელიც ევროკავშირის რამდენიმე საპარლამენტო ფრაქციასა და კომიტეტში მიმდინარეობს.

– კერძოდ, რას გულისხმობთ?

– საქართველოს საგულდაგულო დისკრედიტაცია ხდება, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დეპუტატებისაგან, კიდევ უფრო მეტად ბალტიისპირელი და პოლონელი დეპუტატებისაგან, საქართველოში ნაცპარტიისა და მათი სატელიტური ორგანიზაციების გააქტიურებითა და ოპოზიციური ფლანგის ხელოვნური შექმნით. ისინი ხელიდან არ უშვებენ შანსს, სადმე არ დააფიქსირონ, რომ ნაცმოძრაობა მთავარი ოპოზიციური პარტიაა. რაღაც ტიტულია, რომელიც სხვა ქვეყანაში არ შეიმჩნევა.

„მთავარი ოპოზიციური პარტია“ ჩემთვის გაუგებარი განსაზღვრებაა. ოპოზიციური პარტია ოპოზიციური პარტიაა, მთავარი და არამთავარი რას მიქვია.

– როგორ ფიქრობთ, მთავარ და მეორეხარისხოვან ოპოზიციური პარტიებად მაინც რატომ ახარისხებენ?

– მომავალში ნაცმოძრაობით ჩანაცვლება რომ მოხდეს. მთავარ და არამთავარ პარტიებად პარტიების დახარისხება იქითკენ გვიბიძგებს, ვიფიქროთ, რომ თუკი დემოკრატიულ ქვეყანაში ოდესმე ხელისუფლების შეცვლის საკითხი დადგება, მთავარი ოპოზიციური პარტია გამზადებული ჰყავდეთ.

– მათ ქართველი საზოგადოება მიიღებს?

– მე მგონი, არ მიიღებს.

ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენი მომავალი არის ევროკავშირში, ჩვენ ამის გვჯერა და ჩვენ ამას ერთად მივაღწევთ“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

დიდი პასუხისმგებლობა აკისრია, მაგრამ ყველაზე მეტი წილი აქ პარლამენტის გასაკეთებელია.

– უნდა შედგეს ეროვნული კონსენსუსი ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე, ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღების მიზნით. ასე მუშაობს სისტემა.

პრემიერის განცხადებით, ყველა აქტორი არ არის ჩართული 12 რეკომენდაციის შესრულების პროცესში, არ არის ჩართული ოპოზიცია, რომლის პირდაპირი ვალდებულებაა სწორედ ამ რეკომენდაციების მთავარი, პირველი რეკომენდაციის შესრულება.

– ბატონო კომისარო, თქვენ ამის თაობაზე მოგაწოდეთ ინფორმაცია, ჯერ კიდევ სექტემბრის თვეში, როცა მე ვიყავი ბრიუსელში, რომ სამწუხაროდ, ყველა აქტორი არ არის ჩართული ამ პროცესში, არ არის ჩართული ოპოზიცია, რომლის პირდაპირი ვალდებულება არის, სწორედ აი ამ რეკომენდაციების, მთავარი, პირველი რეკომენდაციის შესრულება – ეს არის დეპოლარიზაცია და ჩვენ ნათლად ავხსენით და განვმარტეთ, რომ ამის მიღწევა შეუძლებელია, თუ არ იქნება მათი მხრიდან თანამშრომლობის ანალოგიური მზაობა, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, ხელისუფლებამ კარი გაუხსნა ყველა აქტორს და კანდიდატის სტატუსი არის ქვეყნის სტატუსი. შესაბამისად, ის ეკუთვნის ყველა მოქალაქეს.

– ძალისხმევას არ ვიშურებთ და არ ვაკლებთ, რომ ყველა ეს რეკომენდაცია ზედმიწევნით და პირნათლად იქნას შესრულებული, უმოკლეს ვადებში. სწორედ ამ მიზნით არის შედგენილი გრაფიკი, რომელიც პარლამენტმა შეიმუშავა და წარვუდგინეთ ჩვენს საზოგადოებას, მათ შორის ჩვენს ევროპელ პარტნიორებს. ამ მიზნით არის შექმნილი, თითოეულ რეკომენდაციაზე, ბატონო კომისარო, სამუშაო ჯგუფი და მიდის აქტიური მუშაობა. კიდევ ვიმეორებ, ჩვენი მხრიდან ძალისხმევას არ დავაკლებთ და ყველაფერს გავაკეთებთ მაქსიმალურად მოკლე დროში, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერის განცხადებით, 2012 წლის შემდეგ, რაც ჩვენი მმართველი პარტია მოვიდა ხელისუფლებაში, ყველა ხელშესახები შედეგი ევროპულ გზაზე არის სწორედ მმართველი პარტიის დამსახურება, იქნებოდა ეს ასოცირების შეთანხმება, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება, უვიზო რეჟიმი და ახლა უკვე ევროპული პერსპექტივა.

კრემლი მარცხის გამო ხელს შოიგუს შეაწმენდს?

უკრაინელი ექსპერტი: „ყირიმი, სავარაუდოდ, 2023 წელს გათავისუფლდება“

მარიამ მჭედლიშვილი

მსოფლიოში ხერსონში რუსეთის ჯარის უკანდახევაზე მსჯელობა გრძელდება. რატომ გადაინაცვლეს ოკუპანტებმა ხერსონის ოლქის მარჯვენა სანაპიროდან მარცხენაზე? რა ზიანის მოტანა შეუძლიათ? რა შემდგომი მიღწევებია მოსალოდნელი უკრაინის შეიარაღებული ძალებისგან? რა პროცესებია მოსალოდნელი აგრესორ ქვეყანაში? – ამ საკითხებზე უკრაინულ მედიას ესაუბრება ცნობილი უკრაინელი სამხედრო-პოლიტიკური მიმომხილველი ალექსანდრ კოვალენკო.

– რითია განპირობებული უკრაინის შეიარაღებული ძალების გადაადგილების სისწრაფე ხერსონში? რატომ გაიქცნენ ასე სწრაფად რუსები?

– ჩემი გათვლით, ხერსონი უნდა გათავისუფლებულიყო ნოემბრის ბოლოს, დეკემბრის დასაწყისში. ხერსონის მოვლენები არ უნდა განვიხილოთ, როგორც მეტისმეტად სწრაფი, ვინაიდან უკრაინის შეიარაღებული ძალები ამაზე ჯერ კიდევ გაზაფხულიდან მუშაობდნენ. ხერსონშჩინის მარჯვენა სანაპიროს გათავისუფლება რამდენიმე ეტაპად ხორციელდებოდა. ფაქტობრივად, ეს რამდენიმეთვიანი ოპერაცია დამთავრდა რუსების მიერ იმის გააზრებით, რომ ამ ტერიტორიას ვეღარ შეინარჩუნებდნენ. ისინი მიხვდნენ, რომ ან ბოლომდე განადგურდებიან, ან გაქცევა მოუწევთ. ჩვენთვის ეს ნათელი იყო ჯერ კიდევ ივლისში. მაშინაც ცხადი იყო, იმ რაიონში შექმნილი პირობები არ მისცემდა მათ საშუალებას, გამოეყენებინათ თავიანთი რესურსი, თუნდაც ის რაოდენობრივად უკრაინის შეიარაღებულ ძალებზე დიდი ყოფილიყო. ასე გამოვიდა კიდეც. ამას რომ მიმხვდარიყვნენ, რუსებს დიდი დრო დასჭირდათ.

უკრაინის შეიარაღებული ძალების მიმდინარე გადაადგილება უკავშირდება იმას, რომ ოკუპანტები ქაოსურად, პანიკურად გაიქცნენ. მათ შეიგნეს, რომ თავდაცვის არანაირი ხაზი აღარ უშველით.

– ხერსონის ბოლომდე გათავისუფლება როდისაა შესაძლებელი?

– ხერსონის გათავისუფლება დივერსანტებისა და დარჩენილი ოკუპანტებისაგან შესაძლებელია დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში. ქალაქში, სავარაუდოდ, ბევრია დანაღმული ობიექტი.

ოლქის მარჯვენა სანაპიროს ნაწილის გათავისუფლება ნოემბრის ბოლომდე გასტანს. ოკუპანტების ქაოტური გაქცევა არ იძლევა ამის უფრო სწრაფად გაკეთების საშუალებას. ამჟამად ოკუპანტები, რომლებმაც არ იცოდნენ, რომ გაქცევა მოუწევდათ, ცდილობენ გადარჩენას, სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმულნი იმალებიან. მათ აღარ აქვთ საომარი პოტენციალი, რომ წარმოადგენდნენ საფრთხეს უკრაინის შეიარაღებული ძალებისათვის, როგორც ერთიანი მძლავრი ელემენტი.

– მათ თავდაცვაღა დარჩენიათ?

– დიახ, ისინი მხოლოდ თავს დაიცავენ და ტერორს მოაწყობენ. ძნელია, ამას თავდაცვა ეწოდოს, იმიტომ, რომ უკრაინის შეიარაღებული ძალები აქ კონტრშეტევას არ გეგმავენ.

უკრაინის შეიარაღებული ძალები დაიკავებენ თავიანთ პოზიციებს, გამაგრდებიან მარჯვენა სანაპიროზე, ასევე შექმნიან პიროებებს ეფექტური კონტრბატარეული ბრძოლისათვის. ეს აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების წინაშე არსებული საფრთხის მინიმიზაციისთვის. რუსების მხრიდან იქნება სროლები ხერსონის, მარჯვენა სანაპიროს გასწვრივ დასახლებული პუნქტების მიმართულებით. ისინი დათესენ ტერორს – იმას, რასაც აკეთებენ ზაპოროჟიეში, სლავიანსკში, კრამატორსკსა და სხვა ქალაქებში.

– არსებობს თუ არა ფრონტის ხაზზე მონაკვეთები, სადაც რუსეთს შეუძლია გამოიჩინოს ხერსონის მსგავსი „კეთილი ნების ჟესტი“?

– დიახ. მიმაჩნია, რომ 2022 წლის ბოლომდე ისინი იძულებული გახდებიან, გაიქცნენ სვატოვოდან სტარობელსკამდე და, შედეგად, გათავისუფლდება ლუგანშჩინის მნიშვნელოვანი ნაწილი.

– შეიძლება თუ არა, ხერსონზე კონტროლის დაკარგვამ გამოიწვიოს პროცესები რუსეთის ფედერაციის შიგნით?

– სასურველი იქნებოდა, მაგრამ ჯერ ამგვარი რამ არ მოხდება, იმიტომ, რომ ხერსონზე მოსალოდნელი „რთული გადაწყვეტილების“ შესახებ ხალხი გააფრთხილეს. ამაზე ჯერ კიდევ ერთი თვის წინ ლაპარაკობდა გენერალი-მანიაკი სუროვიკინი. მას მხარი აუბა რუსეთის პროპაგანდამ. სუროვიკინისა და სხვებისათვის კატასტროფული ტალღა ჯერ არ იქნება. ის, თუ რა მოხდება კონტრშეტევის შემდეგ ლუგანშჩინაში, სხვა საკითხია.

– სხვა პუნქტებსაც თუ დაკარგავენ რუსები, მაშინ დაიწყება პროცესები რუსეთის ფედერაციაში?

– პუტინს არაფერი მოუვა. მას ხელს არ ახლებენ. ამის მაგივრად მოძებნიან შიდა დამნაშავეს. არ არის გამორიცხული, რომ ამ პროცესის კატალიზირება მოხდეს 2023 წელს. დამნაშავედ გამოცხადდება თავდაცვის მინისტრი სერგეი შოიგუ.

რუსეთში ხდება ეკონომიკური ხასიათის საინტერესო მოვლენები. მაგალითად, პუტინმა შეაჩერა შეიარაღების სახელმწიფო პროგრამა. მასზე ფედერალური ბიუჯეტიდან 10 წელიწადში გამოყოფილი იყო 20 ტრილიონი რუბლი. ეს იყო ახალი შეიარაღების წარმოებისა და არმიისათვის მიწოდების პროგრამა. ვინ არის ამაზე პასუხისმგებელი? რა თქმა უნდა, თავდაცვის მინისტრი. სად წავიდა ეს ყველაფერი? ერთი ნაწილი – ჯართში უკრაინაში, მეორე უკრაინის შეიარაღებული ძალების ნადავლი გახდა.

– ხერსონშჩინის მარჯვენა სანაპიროზე გამაგრება რამდენად შეუწყობს ხელს ყირიმისკენ გასვლას?

– ხერსონშჩინის მარცხენა სანაპიროს, დონეტჩინისა და ყირიმისკენ გასვლა განხორციელდება ზაპოროჟიეს ოლქის გავლით. ეს 2023 წლამდე ვერ მოხდება.

სუსი: „აღკვეთილ იქნა დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ ისრაელის მოქალაქის მკვლელობის მცდელობა“

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ გამოვლენილ და აღკვეთილ იქნა დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ საქართველოში დაგეგმილი ისრაელის მოქალაქის მკვლელობის მცდელობა. ამის შესახებ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი.

მათივე ინფორმაციით, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დაკავებული არიან პაკისტანისა და ირან-საქართველოს ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირები.

– იდენტიფიცირებული არიან უცხოეთში მყოფი ორგანიზატორები, მათ შორის დადგენილი არიან მკვლელობის სავარაუდო შემკვეთი ირანის მოქალაქე და სხვა მონაწილე პირები, რომელთა მიმართ მიმდინარეობს კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები.

გამოძიებით დადგენილია, რომ დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ საქართველოში გამოიგზავნა ამ ჯგუფში ჩართული პაკისტანის მოქალაქე, რომელსაც დავალებული ჰქონდა საქართველოში ისრაელის მოქალაქის მკვლელობა.

საქართველოში ჩამოსვლამდე პაკისტანის მოქალაქეს ჩაუტარდა საჭირო ინსტრუქტაჟი და მიეწოდა ინფორმაცია მკვლელობის ობიექტზე. მოგვიანებით, ხსენებული პირი მესამე ქვეყნის გავლით ჩამოვიდა საქართველოში, სადაც მას დახვდა დაქირავებული ბინა და გადაეცა კონსპირაციული კავშირის საშუალებები.

საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ პაკისტანის მოქალაქე მკაცრად იცავდა კონსპირაციის წესებს და ახორციელებდა მკვლელობის ობიექტისა და მისი გადაადგილების მარშრუტების ფარულ შესწავლას, მუდმივ კონსპირაციულ კავშირზე იმყოფებოდა უცხოეთში მყოფ შემკვეთთან და იღებდა მისგან მითითებებს და თანხებს.

დამატებით დადგინდა, რომ მკვლელობის შემსრულებლისთვის იარაღის ფარულად მიწოდების მიზნით, დანაშაულებრივმა ჯგუფმა საქმეში ჩართო საქართველოში მცხოვრები ირან-საქართველოს ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებისგან შემდგარი ჯგუფი.

კვალის დასაფარად პაკისტანისა და ირან-საქართველოს ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებს შორის პირდაპირი შეხვედრები არ ხორციელდებოდა და ცეცხლსასროლი იარაღებისა და საბრძოლო მასალის გადაცემა ხდებოდა ქალაქში მოწყობილი სამალავების გამოყენებით, რა დროსაც ორივე ჯგუფის მუშაობის კოორდინაცია უცხოეთიდან ხორციელდებოდა.

პაკისტანისა და ირან-საქართველოს ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირების მიმართ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების – ჩხრეკების შედეგად ამოღებულ იქნა ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა, ასევე, კონსპირაციული ტელეფონები, რომლებშიც აღმოჩენილია როგორც მკვლელობის მომზადებისა და სამალავების ადგილმდებარეობის ამსახველი ინფორმაცია, ასევე სხვა მამხილებელი მტკიცებულებები.

საქმეზე მიმდინარე ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების პროცესში ხორციელდება დანაშაულში მონაწილე და ხელშემწყობი სხვა პირების გამოვლენა და იდენტიფიცირება, – აცხადებენ სუს-ში.

საქართველოდან თურქეთში წასული ოჯახი მკვლელობაშია ეჭვმიტანილი

საქართველოდან თურქეთში წასული ოჯახი საზარელ დანაშაულშია ეჭვმიტანილი. დედა, მამა და 15 წლის ქალიშვილი პოლიციამ ანტალიაში დააკავა. გამოძიებით ირკვევა, რომ მოზარდმა კონსპირაციულ ბინაში იმშობიარა, რის შემდეგაც ოჯახმა ახალშობილის თავიდან მოცილება გადაწყვიტა.

ვიდეომასალაში ჩანს, თუ როგორ გადმოაგდეს ჩვილი კორპუსის მეხუთე სართულიდან. შემზარავი დანაშაული სავაჭრო ობიექტზე დამონტაჟებულმა სათვალთვალო კამერამ დააფიქსირა.

საქმე იმდენად შოკის მომგვრელი და სენსიტიურია, რომ პროკურატურა დანაშაულის დეტალებზე ინფორმაციას არ ავრცელებს. ფაქტს აქტიურად აშუქებს თურქული მედია.

ადგილობრივი პრესა წერს, რომ მოზარდი, სავარაუდოდ, თავადაც ძალადობის მსხვერპლია.

გამოძიების კვალმა სამართალდამცველები ამავე კორპუსში მცხოვრებ ოჯახთან მიიყვანა. 60 წლამდე ცოლ-ქმარი იქ 15 წლის ქალიშვილთან ერთად ქირით ცხოვრობდა. მოზარდი და მისი მშობლები ცხელ კვალზე დააკავეს. სასამართლომ სამივე მათგანს პატიმრობა შეუფარდა. გავრცელდა ფრაგმენტი ჩვილის მკვლელობაში ბრალდებული 15 წლის ქართველი მოზარდის ჩვენებიდან.

ანტალიაში დაკავებულ მოზარდს ჩვილის განზრახ მკვლელობის ბრალდებით გაასამართლებენ. ჯერ უცნობია, რა მუხლით წარუდგინეს ბრალი გოგონას მშობლებს. ანტალიის პროკურატურა, არასრულწლოვნის მიმართ სექსუალური ძალადობის ვერსიასაც იძიებს.

შალვა ხაჭაპურიძე: „სამხარაულის ბიურო ამზადებს დასკვნას, რომელიც ჩვენი დასკვნისგან რადიკალურად განსხვავებული იქნება“

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ადვოკატის, შალვა ხაჭაპურიძის განცხადებით, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით ალტერნატიულ ექსპერტიზას ამზადებს.

ხაჭაპურიძის თქმით, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა.

– მას 6 თვეა, 38 აქვს სიცხე, იყო პერიოდი, როცა ეს ტემპერატურა ქრებოდა, თუმცა, ბოლო ორი თვის განმავლობაში, სიცხე აქვს, საკვებს ვერ იღებს და კიდევ სხვა უამრავი სიმპტომი აქვს. რაც შეეხება სასჯელის გადავადებას, ან სასჯელისგან გათავისუფლებას, გარდა იმისა, რომ მძიმე ავადმყოფობის ხარისხი უნდა არსებობდეს, მეორე შემადგენელი ნაწილია, ეს დაავადებები ხელს უშლის თუ არა მას სასჯელის მოხდაში, ანუ აქვე დგება ქვე საკითხი, უტარდება თუ არა ადეკვატური მკურნალობა, თუ ადეკვატური მკურნალობა უტარდება ბატონ სააკაშვილს, რატომ აქვს 38 სიცხე, რატომ აქვს მარცხენა ზედა კიდურის აუტანელი, გაუსაძლისი ტკივილი, რატომ ცვივა თმები, რატომ ტყდება ფრჩხილები, რატომ ვეღარ გადაადგილდება, რატომ გაჩნდა ეჭვი ტუბერკულოზთან დაკავშირებით, რატომ აქვს ხერხემლის აუტანელი ტკივილები, რატომ დაიკლო 25 კილოგრამი „ვივამედში“ ყოფნის პერიოდში, მაშინ, როცა შიმშილობა მას იქ არ გამოუცხადებია. საკვებს ვერ იღებს, რასაც იღებს, იმასაც უკან აბრუნებს. სამწუხაროდ, ამ კითხვებზე პასუხი არ მიგვიღია. არ გვინდა მოვლენებს გავასწროთ, მაგრამ სერიოზული მტკიცებულებებია, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ არათუ „ვივამედი“, საქართველოს ჯანდაცვის სისტემა არ არის იმ სიმაღლეზე და ისე მომზადებული, შეძლონ ამ პაციენტის მკურნალობა, საუბარია, საკმაოდ მძიმე დაავადებებზე, – განაცხადა ხაჭაპურიძემ.

მისივე განმარტებით, კლინიკაში მიხეილ სააკაშვილის ყოფნის ამსახველი ვიდეოკადრების გასაჯაროების მოთხოვნით სასამართლოს კანცელარიის მეშვეობით დღეს მიმართავს.

– სასამართლოს ამ შუამდგომლობით მივმართეთ და ერთ-ერთმა მოსამართლემ განჩინება გამოიტანა და უარი გვითხრა, შუამდგომლობა საქმის განმხილველ რომელიმე მოსამართლესთან დააყენეთო, ეს შუამდგომლობა გამზადებული გვქონდა და მოსამართლე ჩახნაშვილთან დღეს უნდა დაგვეყენებინა.

მოსამართლე გამოვიდა, სხდომა თვითონ გახსნა და თვითონ დახურა, შუამდგომლობის დაყენების უფლებაც კი არ მოგვცა. ამიტომ, მე სასამართლოს კანცელარიის მეშვეობით შემაქვს ქალბატონ ჩახნაშვილთან ეს შუამდგომლობა. ვიდეომასალას ყველა ვარიანტში მოვიპოვებთ, რადგან ის რამდენიმე ფაქტორის გამო გვჭირდება. პირველი, მას ამერიკელი ექსპერტები ითხოვენ, რადგან კლინიკაში გონების კარგვის 4-5 ეპიზოდი იყო, საექსპერტო კვლევისთვის ეს მასალები საჭიროა.

მეორე, საზოგადოებას გვინდა ვანახოთ, ამ ერთი წლის განმავლობაში რა მოხდა, როგორ მოხდა, ყველამ ვიცით, როგორი ადამიანი შევიდა იქ, ახლა აჩვენონ დღევანდელი კადრები, ჩვენ დავრთავთ ნებას. ბუნებრივია, სააკაშვილი თანახმაა, შეიძლება რაღაც ნაწილზე არ იყოს თანახმა, მაგრამ რაც დაკავშირებულია მის პალატაში ყოფნასთან, თანახმაა, პირიქით, რომ შევდივარ, მეკითხება, მოვიპოვეთ ეს კადრებიო? ეს კადრები ექსპერტებს მხოლოდ დაკვირვებისთვის არ სჭირდებათ, უნდათ, მტკიცებულებად დაურთონ საექსპერტო დასკვნას, – აცხადებს ხაჭაპურიძე.

მისივე განმარტებით, სამხარაულის მიერ მომზადებულ დასკვნაში, სავარაუდოდ, სააკაშვილის ჯანმრთელობის პრობლემებს ვერ დაინახავენ.

– ვიცი, რომ სამხარაული ამზადებს დასკვნას, რომელიც რადიკალურად განსხვავებული იქნება ჩვენი დასკვნისგან. თუმცა, იმ ექსპერტებს, რომლებიც მსგავსი ტიპის დასკვნას მოაწერენ ხელს, მათ პოზიციებს სასამართლოში საკმაოდ სერიოზული გამოცდა ელოდებათ. ტერმინი აქვთ შემოღებული – ადაპტაციური შეუგუებლობა, სტრესი აქვს თურმე და სტრესის გამო 8 თვეა, სიცხე აქვს, ვერ გადაადგილდება. სტრესის გამო ადამიანს მაქსიმუმ, შეიძლება ერთ დღე, ორი დღე ჰქონდეს 37 სიცხე. ექიმებს ვურჩევ, ამ გაუგებრობაში სჯობს თავი არ გაყონ, ვინაიდან ამ ყველაფერს საკმაოდ სერიოზული რეაგირება მოჰყვება.

ეს ექსპერტიზა თვალს დახუჭავს და დიაგნოზი იქნება, ეს არის სტრესიდან გამომდინარე და ადაპტაციური შეუგუებლობაო. გაუგებარი ტერმინია, რომელიც პატიმრებთან დაკავშირებით სამედიცინო ტერმინოლოგიაში არ გვხვდება და ამ ყველაფრის გასასამართლებლად არის შემოღებული, ეს არ გამოვა და ჯობს, თავი დაანებონ. ჩვენ ეს ინფორმაცია გვაქვს, ისიც ვიცით ვინ არიან ჩართული, როგორ მოხდა მათი დათანხმება და ა.შ. ბევრი უარს აცხადებდა, რამდენიმე ექიმი ახლაც უარს აცხადებს, ამ ყველაფერში მონაწილეობის მიღება არ უნდათ. ძალიან ძნელია, ექიმმა სააკაშვილზე დაწერო, რომ ჯანმრთელია. სახელმწიფო კომისია გახსოვთ თქვენ, ჩვენ იქ რამდენიმე ექსპერტი აღმოვაჩინეთ, რომლებიც სააკაშვილთან პიროვნულად არიან დაპირისპირებულები, როგორც კი სააკაშვილის სახელს და გვარს ახსენებ, პირად კონფლიქტში შემოდიან, გაირკვა, რომ ამ ხალხს მონაწილეობა მიღებული და ხელი აქვთ მოწერილი. აღმოჩნდა, რომ წინა ხელისუფლების პერიოდში, მათი ოჯახის წევრები ყოფილან სამსახურებიდან გამოძევებულები, მათ შორის, ერთ-ერთი ექსპერტიც სამსახურიდან ყოფილა დათხოვილი, იმ ექსპერტიზაში ისეთ ადამიანებს აქვთ მონაწილეობა მიღებული, რომლებიც პირად კონფლიქტში იმყოფებიან, ეს კი სისხლის სამართლის დანაშაულია, – განაცხადა ხაჭაპურიძემ.

მისივე განმარტებით, სააკაშვილმა ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე დაპირისპირების შესახებ იცის, თუმცა, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით არ საუბრობს.

– გამომხედა და არანაირი ინტერესი არ გამოუმჟღავნებია. ის უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს თვალ-ყურს ადევნებს და ჩემთან რამდენჯერმე განაცხადა, საქართველოს ბედი დღეს უკრაინაში წყდებაო, ძალიან გახარებული იყო ხერსონის მოვლენებთან დაკავშირებით, – განაცხადა ხაჭაპურიძემ.

ქუთაისში უცხოელი ტურისტი გაუჩინარდა



ქუთაისში ესტონელი ტურისტი გაუჩინარდა.

არსებული ინფორმაციით, ახალგაზრდა მამაკაცი ქუთაისში სამოგზაუროდ ჩამოვიდა, თუმცა ახლობლებთან კონტაქტზე არ გასულა.

რუსთავში 18 წლის ბიჭი პიტბულმა დაგლიჯა

რუსთავში, შარტავას გამზირზე, 18 წლის ბიჭი პიტბულის ჯიშის ძაღლმა დაკბინა.

ინფორმაციას „ინფო რუსთავი“ ავრცელებს.

მათივე ცნობით, როგორც დაშავებული ბიჭის დედამ განაცხადა, ეზოში მეზობლის დაბმულმა პიტბულმა აიწყვიტა და მისი შვილი ფეხის არეში დაკბინა.

დაკბენილი ბიჭი ქალაქის ცენტრალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაუწიეს.

– ეზოში დაბმულმა ძაღლმა აიწყვიტა და პირდაპირ ბავშვებისკენ წავიდა. ჩემს შვილს უკბინა ფეხზე, ორ ადგილზე აქვს ღრმა ჭრილობა. სწრაფადვე მოხდა ძაღლის გარიდება, სხვა ბავშვებს არ შეხებია.

ძაღლი სახლში ჰყავთ და ეს პერიოდი, 10-დღიანი, რაცაა განკუთვნილი, აკვირდებიან, – აცხადებს დაშავებულის დედა.

ბიჭი სამედიცინო დაწესებულებიდან უკვე გამოწერილია.

2022, 16 ნოემბერი, №226

რუსეთი-უკრაინა: დადგა ომის ახალი ეტაპი

ხერსონის აღება უდავოდ უკრაინელთა დიდი მიღწევაა. ამავე დროს, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ომი დამთავრდა. სამწუხაროდ, გამარჯვებამდე ჯერ კიდევ შორია. დადგა ომის ახალი ეტაპი. სავარაუდოდ, ის ძალზე მძიმე და სისხლიანი იქნება.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ დიქტატორ პუტინს ხერსონის დატოვება არ სურდა. ის იძულებული გახდა, ეს გაეკეთებინა, რადგან ქალაქის გარშემო ყველა სტრატეგიული პუნქტი უკრაინელთა ხელში იყო. ეს უკანასკნელნი უკვე ხერსონის ცენტრს ურტყამდნენ. რუსეთის არმიამ, რომელიც ფაქტობრივად ცოცხალ სამიზნედ გადაიქცა, ხერსონიდან გასვლა თვითნებურად დაიწყო. რუსი ჯარისკაცების შეჩერება აღარავითარ ძალას აღარ შეეძლო. პუტინიც იძულებული გახდა, ხერსონის დატოვებაზე დათანხმებულიყო. პუტინმა რუსული საოკუპაციო ძალების სარდალს, გენერალ სუროვიკინს ახალი დავალება მისცა. მოიხაზა ომის წარმოების ახალი გეგმა, რომლის განხორციელებაც უკვე დაიწყო.

სავარაუდოდ, უკრაინის ტერიტორიის დაბომბვა გაგრძელდება. ეს თანაბრად შეეხება როგორც დონბასის გათავისუფლებულ ნაწილს, ასევე ხარკოვს, კიევს, ლვოვს, თვით გათავისუფლებულ ხერსონსა და ა.შ. ოკუპანტები მეტი გააფთრებით გაგრძელებენ კრიტიკული ინფრასტრუქტურის განადგურებას. ზამთრის დაწყებასთან ერთად, ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

გაძლიერდება შეტევები დონბასის გათავისუფლებულ ქალაქებზე – ავდეევკაზე, მარინკაზე, ბახმუტზე, სოლედარზე, უგლედარზე. მოსალოდნელია, რომ ამ რაიონებში ხერსონიდან ყველაზე ბრძოლისუნარიანი ნაწილები გადმოისროლონ. აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტის აზრით, რეალური საფრთხე ემუქრება ბახმუტს. რუსები მის აღებას ნებისმიერ ფასად შეეცდებიან. გენერალი სუროვიკინი შეჰპირდა პუტინს, რომ მთელი დონბასის ოკუპაციას განახორციელებს. გენერალი საამისოდ არ დაიშურებს ძალასა და ენერგიას.

დაბომბვის გაძლიერებისა და დონბასში შეტევების გაათკეცების გარდა, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ბელარუსს. აქ უკვე გადმოისროლეს ახალი რუსული ნაწილები. დაწყებულია რუსულ-ბელარუსული გაერთიანებული დაჯგუფების შექმნა. ოკუპანტები შეტევაზე გადავლენ. ისინი შეეცდებიან როვნოსაკენ გაჭრასა და სატრანსპორტო არტერიების გადაჭრას.

უკრაინაში საომარი მოქმედებების გააქტიურებასთან ერთად, გაძლიერდება ე.წ. საერთაშორისო პროპუტინური ფრონტიც. რუსეთი შეეცდება, მასში რაც შეიძლება მეტი ავტორიტეტული მოღვაწე ჩართოს. თუ ბერლუსკონი, სალვინი ან მარინ ლე პენი ოდიოზური პიროვნებები არიან, ამას ვერ ვიტყვით რომის პაპზე. ის კი უკრაინაში მშვიდობის დამყარებისაკენ მოუწოდებს. პაპს მხარს დაუჭერენ საფრანგეთის პრეზიდენტი მაკრონი, გერმანიის კანცლერი შოლცი, გავლენიანი ევროპელი და ამერიკელი პოლიტიკოსები თუ ბიზნესმენები. პარალელურად, თავად აშშ-შიც გააქტიურდებიან ძალები, რომლებიც უკრაინისადმი სამხედრო დახმარების დაბლოკვას შეეცდებიან.

ამრიგად, რუსეთ-უკრაინის ომი ახალ ფაზაში შედის. უკრაინის მთავრობა, მთელი უკრაინელი ხალხი უნდა მოემზადოს საიმისოდ, რომ ბრძოლა გაცილებით სასტიკი და სისხლიანი იქნება, ვიდრე აქამდე იყო.

ჯო ბაიდენი სი ცზენპინს შეხვდა

აშშ-ის პრეზიდენტი ბაიდენი ჩინეთის ლიდერ სი ცზენპინს შეხვდა. საუბრის ძირითადი თემები იყო უკრაინა და ტაივანი.

უკრაინის საკითხში ბაიდენმა და სი ცზენპინმა შესაშურ ერთსულოვნებას მიაღწიეს. ორივემ აღნიშნა, რომ რუსეთის მიერ ძალის გამოყენება უდიდესი დანაშაულია. რაც შეეხება მოსკოვის მიერ ბირთვული იარაღის გამოყენების შესაძლებლობას, აქაც მხარეები ერთმანეთს დაეთანხმნენ. ბაიდენმა და სი ცზენპინმა განაცხადეს, რომ ბირთვული იარაღის გამოყენება დაუშვებელია.

ტაივანის საკითხში კი მხარეებს შორის ერთსულოვნება ნამდვილად არ შეინიშნებოდა. ბაიდენმა განაცხადა, რომ ტაივანში ჩინეთის არმიის შეჭრა დაუშვებელია. სი ცზენპინმა ამაზე ფრიად ორჭოფულად მიუგო:

– ამ ეტაპზე ტაივანზე შეჭრას არ ვაპირებთ!

ჟურნალისტებთან შეხვედრაზე ბაიდენმა გამორიცხა უკრაინის გარეშე ნებისმიერი სამშვიდობო მოლაპარაკებები რუსეთთან.

– ამ საკითხზე გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვან უკრაინის პრეზიდენტმა, მთავრობამ და უკრაინელმა ხალხმა, – ამბობს ბაიდენი.

კადიროვის მორიგი „სიბრძნე“

ჩეჩნეთის პრორუსული ხელისუფლების ხელმძღვანელმა რამზან კადიროვმა მორიგი სკანდალური განცხადება გააკეთა. მან თქვა, რომ „სატანურმა დასავლეთმა“ რუსეთის წინააღმდეგ აგრესია გააჩაღა. შედეგად ოკუპირებულია ბალტიისპირეთი, მოლდოვა, საქართველოსა და უკრაინის დიდი ნაწილი.

კადიროვი მიიჩნევს, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხი ოკუპანტების წინააღმდეგ უნდა დაირაზმოს, ანუ უნდა განმეორდეს ის, რაც დიდი სამამულო ომის დროს მოხდა.

– ყოფილი სსრკ-ის ქვეყნები, რომლებიც აშშ-ს გუნდრუკს უკმევენ და აცხადებენ, რომ ნატოში ან ევროკავშირში შესვლა სურთ, ოკუპირებულ უნდა იქნენ! მათი მთავრობები და ე.წ. ეროვნული მოძრაობების ლიდერები თუ აქტივისტები უნდა გასამართლდნენ! რესპუბლიკებში გაბატონებული ბანდები, რომლებიც თავიანთ თავს არმიას უწოდებენ, უნდა დაიშალონ! – ამბობს კადიროვი.

კადიროვს უკრაინული არმიის სარდალმა, გენერალმა ზალუჟნიმ უპასუხა:

– ნუთუ რუსებმა ჩეჩნეთში ერთი საგიჟეთიც ვერ ააშენეს? – კითხულობს ზალუჟნი.

გადამდგარი ამერიკელი გენერალი ჰოჯესი აცხადებს, რომ კადიროვისაგან სხვას არც მოელოდა.

– რამზან კადიროვი პუტინის ძაღლია! ის სხვანაირად ვერ მოიქცევა, – მიიჩნევს ჰოჯესი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

აშშ-ის დაზვერვის შეფმა კრემლი გააფრთხილა

აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცსს) დირექტორმა უილიამ ბარნსმა განაცხადა, რომ რუსეთ-უკრაინის ომს ყურადღებით ადევნებს თვალს. ბარნსი ხერსონის გათავისუფლებას მიესალმა და, ამავე დროს, განაცხადა:

– თუ რუსეთმა ბირთვული იარაღი გამოიყენა, ამას საკადრისი პასუხი მოჰყვება!

ბარნსის სიტყვებს მოსკოვში ბრაზიანი ღრენით შეხვდნენ. მიუხედავად ამისა, ვერცერთმა რუსმა მოღვაწემ საპასუხო განცხადების გაკეთება ვერ გაბედა.

აშშ-მ რუსეთის წინააღმდეგ ახალი სანქციები შემოიღო

უკრაინის პრეზიდენტი ზელენსკი გათავისუფლებულ ხერსონში ჩავიდა. აქ მას მოსახლეობამ საზეიმო შეხვედრა მოუწყო. ყველგან ეროვნული დროშები ფრიალებდა. შეკრებილებმა უკრაინის ჰიმნიც დააგუგუნეს.

ზელენსკის ხერსონში ვიზიტმა კრემლი განარისხა. პუტინის თანაშემწე პესკოვმა ფრიად უცნაური და თავხედური განცხადება გააკეთა. მან თქვა, რომ ნატომ და მისმა უკრაინელმა დამქაშებმა ომი გამოგვიცხადეს და ხერსონი, რუსეთის ქალაქი, დღეს აშშ-ისა და ნატოს მიერაა ოკუპირებული.

– უკრაინელები პოლიცების როლში გვევლინებიან! დიდი სამამულო ომის დროს ისინი ჰიტლერს ემსახურებოდნენ, დღეს ამერიკელებს მიეყიდნენ, – ამბობს პესკოვი.

ამ სიტყვებმა მთელი დემოკრატიული მსოფლიო აღაშფოთა. აშშ-მ დაუწესა რუსეთს ახალი სანქციები. ისინი გავრცელდება იმ ტრანსნაციონალურ კომპანიებზე, რომლებიც რუსეთისათვის იარაღს ყიდულობენ.

გაერომ ისტორიული დადგენილება მიიღო

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ისტორიული დადგენილება მიიღო. მის თანახმად, რუსეთი მოვალეა, აუნაზღაუროს უკრაინას მიყენებული ზარალი.

ამ რეზოლუციას მხარი დაუჭირა ყველა დემოკრატიულმა ქვეყანამ, მათ შორის საქართველომაც. წინააღმდეგნი წავიდნენ ჩინეთი, ირანი, სირია, კუბა, მალი, ნიკარაგუა, ზიმბაბვე, ეთიოპია, ბელარუსი.

ვილი სანიოლი: „ასეთი თამაშები როტაციისთვის გვჭირდება“

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები მაროკოსთან მატჩისთვის ემზადება. არაბეთის საემიროებში გამგზავრებამდე ვილი სანიოლის გუნდმა ილია კოკაიას სახელობის საფეხბურთო ცენტრში ივარჯიშა.

პირველი ვარჯიში ჩვენმა გუნდმა არასრული შემადგენლობით გამართა. საწვრთნელ პროცესში 15 ფეხბურთელი მონაწილეობდა: გიორგი ლორია, გიორგი მამარდაშვილი, სოლომონ კვერკველია, ლუკა ლოჩოშვილი, ჯემალ ტაბიძე, საბა ლობჟანიძე, გიორგი წიტაიშვილი, ნიკა კვეკვესკირი, ანზორ მექვაბიშვილი, ვლადიმერ მამუჩაშვილი, სანდრო ალთუნაშვილი, ზურიკო დავითაშვილი, გიორგი გოჩოლეიშვილი, დავით ვოლკოვი, გიორგი ბერიძე.

ჩვენი გუნდი ქალაქ შარჯაში გუშინ ჩავიდა, სადაც უკვე სრული შემადგენლობით გააგრძელებს მომზადებას.

გამგზავრებამდე მთავარმა მწვრთნელმა ვილი სანიოლმა მედიის წარმომადგენელთა შეკითხვებს უპასუხა.

– ერთა ლიგის წარმატებით დასრულებით კმაყოფილი ვართ. ბედნიერი ვარ პირველი ადგილით, მაგრამ არც ისე კმაყოფილი – გიბრალტარში ჩატარებული მატჩით. არ გვითამაშია კარგად, არ ყოფილა იოლი ფეხბურთელებისთვის განსხვავებულ სტადიონზე, ხელოვნურ საფარზე თამაში. მეორე ნახევარი ერთ-ერთი ყველაზე ცუდი ტაიმი იყო ჩვენი შესრულებით. საერთო ჯაში კი, ივნისის ოთხი მატჩისა და სექტემბრის თამაშებიდან გამომდინარე, კმაყოფილი ვარ. ფეხბურთელებმა და გუნდმა დიდი პროგრესი განიცადეს. ჩვენი მიზანია, რომ ეს წინსვლა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე გაგრძელდეს...

კვარაცხელიას ზურგის ტრავმა აქვს. იმედი მაქვს, კარგად დაისვენებს და მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ სეზონის განახლებას კარგ ფორმაში შეხვდება...

ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი რთული იქნება, მაგრამ გამოკვეთილი ფავორიტი მხოლოდ ესპანეთია. დანარჩენი გუნდებისთვის ყველაფერი შესაძლებელია. წარმატებული სერიის მიუხედავად, არ უნდა გვეგონოს, რომ უფრო წინ ვართ, ვიდრე სინამდვილეშია. უნდა გავაგრძელოთ საკუთარ თავზე მუშაობა, წინსვლა და, იმედია, ჩვენს მეტოქეებთან, რომლებიც ძლიერი გუნდები არიან, შევძლებთ წარმატების მიღწევას...

სად ითამაშებენ ეროვნული გუნდის ფეხბურთელები იმ დროს, როდესაც შესარჩევ ეტაპზე თამაში საქართველოში გასამართ ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატს ემთხვევა? ახლა ნოემბერია და მოსაფიქრებლად დრო გვაქვს. გვყავს ფეხბურთელები, რომლებსაც ორივე ნაკრებში შეუძლიათ თამაში. იმედი მაქვს, ყველა ჯანმრთელად იქნება. საბოლოო გადაწყვეტილებას მოგვიანებით მივიღებთ. ვიცი, რომ 21-წლამდე ევროპის ჩემპიონატი ქვეყნისა და ფეხბურთელებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპიც მნიშვნელოვანია. ვიმედოვნებ, შესაბამის გადაწყვეტილებას მივიღებთ. ჯერჯერობით ამაზე საუბარი ნაადრევია...

მსოფლიო ჩემპიონატიდან გამომდინარე, უჩვეულო სიტუაციაში ვართ. მოახლოებულ მატჩთან დაკავშირებით გადაწყვეტილება უნდა მიმეღო – ან იმავე გუნდით გვეთამაშა, ან შანსი მიგვეცა რამდენიმე ახალი ფეხბურთელისთვის. ერთა ლიგის დასრულების შემდეგ გადავწყვიტე, რომ ნოემბერში რამდენიმე ახალი მოთამაშე გამომეცადა. მომავალში ყოველთვის დაგვჭირდება ახალი ფეხბურთელების ინტეგრირება, მაგრამ ისეთების, რომლებსაც შესაბამისი დონე აქვთ და შეუძლიათ ნაკრებისთვის კარგი სიახლის მიცემა. გოჩოლეიშვილისა და საზონოვის სახით ორი დებიუტანტი გვყავს. ნაკრებში ლევან შენგელია დაბრუნდა. ვფიქრობ, ბოლო პერიოდში, ახალ კლუბში გადასვლის შემდეგ, კარგი თამაშები ჰქონდა და დაიმსახურა. დაბრუნდა გიორგი ბერიძე, რომელიც თურქეთში კარგად თამაშობს. როგორც ვთქვი, მსურს ახალი ფეხბურთელების ხილვა. ხუთშაბათს გვაქვს თამაში და მანამდე მხოლოდ ორი ვარჯიში. ბუნებრივია, ისინი იმისთვის გამოვიძახე, რომ ვნახო, თუ რა შეუძლიათ მოედანზე. მაროკო ძალიან კარგი გუნდია და ფეხბურთელებისთვის შანსია, რომ საკუთარი თავი გამოცადონ მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე გუნდთან. საქართველოსთვის სწორედ ეს გვსურს და, თუ მსოფლიო ჩემპიონატზე თამაში გსურს, უნდა აჩვენო, რომ ტურნირის მონაწილესთან თანაბარ დონზე ასპარეზობა შეგიძლია...

გიორგი ჩაკვეტაძეს რამდენიმე დღე დასვენება სჭირდება. ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენთან ერთად იქნება. არ ვიცი, ითამაშებს თუ არა, მაგრამ, მნიშვნელოვანია, რომ ნაკრებთან ერთად იყოს და თავი გუნდის ნაწილად იგრძნოს. მოახლოებული მატჩი არა მხოლოდ წარმატებული სერიის გასაგრძელებლად, არამედ ახალი ფეხბურთელების ინტეგრირებისთვის უნდა გამოვიყენოთ. მაგალითად, ლოჩოშვილს, რომელსაც აქამდე ბევრი არ უთამაშია, მაროკოსთან ამის შესაძლებლობა და საკუთარი პროგრესის ჩვენების საშუალება ექნება. როდესაც შემადგენლობაში რამდენიმე ფეხბურთელს ცვლი, გარკვეულ ხარისხსა და გუნდურობას კარგავ, რაც ბუნებრივია და ამისთვის მზად ვართ, რადგან ვიცით, რომ მაროკოსთან შეხვედრა

გაგრძელება მე-7 გვერდზე

განცხადებები

● 45-წლიანი გამოცდილებით გთავაზობთ პარაფსიქოლოგის მომსახურებას – გაუმართლებლობა, ქალის ბედის გახსნა, მტრის ჩამოშორება, შებოჭილობა, დეპრესია, კოშმარული სიზმრები, პიროვნებებს შორის აგრესიები, მოღალატე ქმრის მორჯულება, ეჭვიანობა, თვითმკვლელობის სურვილი, პათოლოგიური სიმთვრალე და კიდევ მრავალი პრობლემის მოგვარება, შესაძლებელია პაციენტის გარეშეც. ფოტოსურათი აუცილებელია. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება წინასწარი ჩაწერით.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდსასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლანორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

საქართველო 6 წამში ვერ ჩაეტია

საქართველო-იტალია 84:85

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა ევროპის ერთ-ერთ წამყვან ნაკრებთან, იტალიასთან, დასანანი მარცხი განიცადა – 84:85. ამ გამარჯვებით აპენინელებმა მსოფლიო ჩემპიონატის საგზური 2 ტურით ადრე მოიპოვეს, საქართველოს ნაკრები კი ამ საგზურისთვის ბრძოლას აგრძელებს.

ნოემბრის ფანჯრის დროს მას მაქსიმალურ შედეგამდე მცირედი დააკლდა. დაიგეგმა ისლანდიისა და იტალიის დამარცხება. თუმცა, გათვალისწინებული იყო ერთი მოგებაც, მაგრამ ეს ერთი აუცილებლად უშუალო კონკურენტი ისლანდია უნდა ყოფილიყო.

საბოლოოდ ასეც გამოვიდა: ილიას ზუროსის გაწვრთნილმა ჩვენმა გუნდმა ისლანდიაში ურთულესი ბრძოლა (88:85) მოიგო, თბილისში კი გუშინ იტალიასთან არანაკლებ დაძაბულ ჯახში დამარცხდა.

და მაინც, ჯგუფიდან მსოფლიო ჩემპიონატზე გასასვლელი მესამე საგზურის მოპოვების უმთავრესი კანდიდატი საქართველოა. კონკურენტები ისლანდია და უკრაინა არიან. ამ გუნდების გუშინდელი მატჩი უკრაინამ მოიგო და, თითქმის განწირულს, მსოფლიოზე გასვლის შანსი გაუჩნდა. საამისოდ უკრაინელებმა მომდევნო ტურში იტალიაში უნდა მოიგონ და, თუკი საქართველო ჰოლანდიაში იმარჯვებს, ბოლო ტურში საქართველოს ისლანდიასთან დამარცხებას უნდა უქომაგონ.

ეს არითმეტიკა საჭირო არ გახდება, თუკი საქართველო დარჩენილ 2 მატჩს მოიგებს. ეს 2 გამარჯვება თუ მოიპოვა, საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებს.

ისტორიის დასაწერად სწორედ 23 თებერვალს ჰოლანდიაში და 26-ში თბილისში ისლანდიასთან მოგებაა საჭირო.

იტალიასთან მატჩი შეგვიძლია ასე შევაფასოთ – საქართველომ წააგო სამქულიანების მანქანასთან. სწორედაც, ილიას ზუროსის გუნდმა ძალიან სუსტი პირველი ნახევარი ჩაატარა, რომელშიც მეტოქისგან 10 სამქულიანი მიიღო და აღნიშნულ პერიოდში ჩვენს კაპიტანსა და ლიდერს თორნიკე შენგელიას მხოლოდ 1 ქულა ჰქონდა ჩაგდებული. მიუხედავად ამისა, ქართველები დიდ შესვენებაზე მხოლოდ 3 ქულით აგებდნენ. მართალია, იტალიამ მეორე ნახევარში 10 სამიანი ვეღარ ჩააგდო, მაგრამ ექვსი შორი სროლა მაინც მიითვალა და აქედან ორი – ბოლო წამებზე, რითაც მოგების რეალური შანსის მქონე საქართველო თითქმის გაწირა – 85:79 დასრულებამდე 33 წამით ადრე.

აქ კი ქართველებმა ღამის სასწაული მოახდინეს. თორნიკე შენგელიამ სწრაფი ორქულიანი ჩააგდო, რასაც პრესინგი და მეტოქის ნახევარზე განხორციელებული ჩაჭრა მოჰყვა. თად მაკფადენმა საფინალო სირენამდე 11 წამით ადრე სამქულიანი ააცილა, ბურთი მატჩის ერთ-ერთმა საუკეთესო მოთამაშე დუდა სანაძემ ბრძოლით მოხსნა და მიხეილ ბერიშვილს პერიმეტრზე მიაწოდა, ვინაც სამიანით ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა. დარჩენილ შვიდ წამში ქართველებმა, ცხადია, ტაქტიკური ჯარიმა აიღეს.

ალესანდრო პაჯოლამ ორივე საჯარიმო ააცილა და ბურთი შენგელიამ მოხსნა. ნაკრების კაპიტანმა, რომელმაც მეორე ნახევარში, როგორც იქნა, დაძლია იტალიელთა დაცვითი ზღუდე და 14 ქულა მოინაგრა, ბურთი მაკფადენს მიაწოდა, მოედანი სწრაფად გადაკვეთა, ჩვენმა ნატურალიზებულმა ამერიკელმა პასი დაუბრუნა, საჯარიმოში შეჭრილ შენგელიაზე იტალიელი მეურვე დაჯარიმდა, მაგრამ დრო ამოწურული იყო, საქართველო ექვს წამში ვერ ჩაეტია...

საქართველოს ნაკრების მორიგი შეკრება თებერვალშია და ილიას ზუროსი გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოსაპოვებელი მატჩებისთვის მოამზადებს.

ილიას ზუროსი:

– მარცხის მიუხედავად, პირველ რიგში მინდა, ჩემი კალათბურთელები შევაქო, რადგან მათ იბრძოლეს და გულით ითამაშეს. თოკომ დიდი სამუშაო შეასრულა. დიდი მადლობა გულშემატკივრებს, წარმოუდგენელი მხარდაჭერა გვქონდა. ძალიან გამოცდილი გუნდის წინააღმდეგ წავაგეთ. წაგებაზე პასუხისმგებელი მე ვარ. ჩემი კალათბურთელების მჯერა და დარწმუნებული ვარ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე გავალთ, რადგან მომდევნო ორი თამაშის მოგება შეგვიძლია. იმედი მაქვს, მიუხედავად მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლისა, იტალია მომდევნო მატჩებს ძლიერი შემადგენლობით ითამაშებს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, სამართლიანობა არ იქნება. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ძალიან რთული გრაფიკი გვქონდა. გზაში 11 საათი ვიყავით, ისლანდიაში ჩასვლაზეც პრობლემები შეგვექმნა, უკან დაბრუნების შემდეგ კი მხოლოდ ერთი დღე გვქონდა სავარჯიშოდ და ძლიერ მეტოქესთან თამაში მოგვიწია. წაგებას ჩემს თავზე ვიღებ, რადგან მოთამაშეებმა ყველაფერი გააკეთეს.

თორნიკე შენგელია:

– ასეთი მარცხის შემდეგ ლაპარაკი რთულია. მეტოქეს უფრო მეტი სამქულიანის სროლის საშუალება მივეცით, ვიდრე ორქულიანის, დაცვაში ისე ვერ ვითამაშეთ, როგორც მწვრთნელებმა დაგვავალეს ბურთი ძალიან ბევრჯერ დავკარგეთ, პირველ რიგში – მე. ვიბრძოლეთ, მაგრამ რაც ბოლო წამზე მოხდა, თქვენც ნახეთ. მთელ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებ. თუმცა, ამით არაფერი დასრულებულა. მთავარი ისაა, რომ ყველაფერი ისევ ჩვენს ხელშია და მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლა მომდევნო მატჩებში შეგვიძლია.

ჯანმარკო პოცეკო:

– ვულოცავ საქართველოს ნაკრებს, ძალიან კარგად ითამაშეს. რთული მატჩის შემდეგ მოგზაურობა და კიდევ ერთი რთული მატჩის გამართვა, ჩვენთვის იოლი არ ყოფილა. კარგად ვითამაშეთ, ზოგადად, ორივე გუნდის მხრიდან, ძალიან კარგი მატჩი გამოდგა. მიყვარს ჩემი კალათბურთელები, ნამდვილად მიყვარს. ისინი ყოველთვის თავიანთ შესაძლებლობებზე მეტს აკეთებენ, ასე იყო სამი დღის წინ ესპანეთის ნაკრებთან და მანამდე ევროპის ჩემპიონატზეც. ყოველთვის ემოციით თამაშობენ, არასდროს ნებდებიან. ამიტომ, გამარჯვება და მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში დაიმსახურეს. წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს პერსონალსაც, რომელმაც შესანიშნავი დაცვა მოამზადა ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელის, თორნიკე შენგელიას წინააღმდეგ.

საქართველო კარგად მომზადებული გუნდია, კარგი მწვრთნელი ჰყავს. ზუროსი ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია და ამიტომ თამაშამდე ენერვიულობდით. მოხსნებზე იმაზე უკეთ ვითამაშეთ, ვიდრე ველოდი. ფარქვეშ სიტუაციას კარგად ვაკონტროლებდით. როცა 5 ქულით ვაგებდით, ვიფიქრე, რომ ყველაფერი დასრულდა. თუმცა, ჩემმა ბიჭებმა აჩვენეს, რომ ბრძოლა შეიძლებოდა და მოიგეს. ძალიან გამიმართლა, ბოლოს გადავწყვიტე, რომ რიჩისა და სევერინის ერთად ეთამაშათ, რათა თამაშის მიმდინარეობა შეგვეცვალა. საქართველოც ხშირად ცვლიდა ტაქტიკას, მაგრამ რამდენიმე სამქულიანი ჩაგდება მოვახერხეთ, რაც მნიშვნელოვანი იყო. მომდევნო მატჩებს როგორ მივუდგებით? რა თქმა უნდა, ბოლომდე დავიხარჯებით. კალათბურთს ყოველთვის პატივს ვცემთ, დარჩენილ ორ მატჩს სრული სერიოზულობით ვითამაშებთ.

სატუნირო ცხრილი:

1.ესპანეთი	8	7	1675-570	15
2.იტალია	8	6	2724-693	14
3.საქართველო	8	4	4630-654	12
4.ისლანდია	8	4	4645-685	12
5.უკრაინაში	8	3	5664-656	11
6.ნიდერლანდები	8	0	8576-656	8

საქართველოს ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლში 2 მატჩი დარჩა ჩასატარებელი. ილიას ზუროსის შეგირდები გაისად 23 თებერვალს ჯგუფის აუტსაიდერ ნიდერლანდებს ესტუმრებიან, 26-ში კი თბილისში ისლანდიასთან მატჩია დაგეგმილი. მიიღებს თუ არა საქართველო ისტორიულ საგზურს, დიდი ალბათობით, სწორედ ბოლო შეხვედრაში გადაწყდება.

ბექა ბურჯანაძეს რეჯიო ემილია ვარჯიშებზე დააკვირდება

ქართველი კალათბურთელი ბექა ბურჯანაძე იტალიაში და იქაურ რეჯიო ემილიაზე თავის მოწონებას ცდილობს.

იტალიური კლუბის ვებგვერდის ცნობით, 28 წლის ქართველი ფორვარდი გუნდს შეუერთდება და საწვრთნელ პროცესს გაივლის. იქ გამოჩნდება, დაიტოვებენ თუ არა ჩვენებურს.

რეჯიო ემილია სერია ა-ს გუნდია და ბურჯანაძისთვის ურიგო ვარიანტი ნამდვილად არ არის, მით უფრო, რომ ბოლო პერიოდში სასურველ ფორმაში არ იყო და საქართველოს ნაკრების ბოლო მატჩებშიც არ გამოიძახეს.

ბურჯანაძეს მთელი კარიერა, ფაქტობრივად, ესპანეთში აქვს გატარებული: კახასოლი, ლეიმა, ანდორა, გიპუზკოა, გრან კანარია, ბეტისი.

რეჯიოელებისთვის ქართველი კალათბურთელი უცხო არ არის – 2017-18 წლებში იქ მანუჩარ მარკოიშვილი თამაშობდა.

იტალიის ჩემპიონატშიც საშუალოზე უფრო სუსტი გუნდია: 2 მოგება, 4 მარცხი და სატურნირო ცხრილში მე-9 ადგილი.

დასაწყისი მე-6 გვერდზე

ვილი სანიოლი: „ასეთი თამაშები როტაციისთვის გვჭირდება“

არ არის მთავარი და მას თამაშებისთვის მოსამზადებლად ვუყურებთ...

ირაკლი აზაროვმა რამდენიმე მატჩი ჩაატარა ეროვნულ ნაკრებში და კმაყოფილი ვარ. მინდა, რომ ახალ გუნდში უფრო თავდაჯერებული გახდეს. რთული პერიოდი ჰქონდა. დარწმუნებული ვარ, კლუბში თავს გამოიჩენს და უფრო ძლიერი დაგვიბრუნდება. ვფიქრობ, 21-წლამდე ნაკრებთან ერთად ორ შეხვედრას ჩაატარებს, რაც რიტმში ყოფნის საშუალებას მისცემს...

რაც შეეხება გიორბელიძეს, ყოველთვის გვიწევს გარკვეული გადაწყვეტილების მიღება. ჩემთვის რთული იყო მისი არგამოძახება, რადგან ძალიან კარგი ადამიანი და ნამდვილი მებრძოლია. თუმცა გარკვეულ მომენტებში ცივსისხლიანი გადაწყვეტილებები უნდა მივიღო და ეს სწორედ ასეთი შემთხვევა იყო. მის ფლანგზე კონკურენცია დიდია და, იმედი მაქვს, ეს კონკურენცია ბიძგს მისცემს, კიდევ უფრო მაღალი დონეზე ავიდეს...

ვაკო ყაზაიშვილთან დაკავშირებით მომხდარის შემდეგ ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ამ ეტაპზე გუნდისთვის მისი გამოძახება მიზანშეწონილი არ იქნებოდა...

მას შემდეგ, რაც ლაზარე კუპატაძე უკლუბოდ დარჩა, ნაკრებში მესამე მეკარედ ლევან შოენაძე გამოვიძახეთ. მინდოდა, შანსი კერესელიძისთვის მიმეცა, მაგრამ ტრავმა მიიღო. გასულ წელს გუგეშაშვილიც გვყავდა გუნდში. მესამე მეკარეს განსხვავებული როლი აქვს და ყოველთვის მზად უნდა იყოს. არ გვყავს ისეთი მესამე მეკარე, რომელიც სხვებს ბევრად აღემატება და სწორედ ეს იყო როტაციის მიზეზი. ამ მომენტისთვის მხოლოდ ერთი თამაშიდან გამომდინარე არ ჩავთვალე საჭიროდ მესამე მეკარის გამოძახება.

ლუკა ლოჩოშვილი:

– ძალიან მნიშვნელოვანი თამაში გველის. მაროკო ძლიერი ნაკრებია, მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობს და საინტერესო სპარინგი იქნება. შემდეგ ციკლში ძლიერი მეტოქეები გვყავს და, საინტერესოა, როგორ დონეზე ვართ. კარგი სერია გვაქვს, გუნდში პოზიტიური განწყობაა და ვიმედოვნებ, ასე გაგრძელდება. თითოეული ფეხბურთელი დღითიდღე ვითარდება და გუნდში ჯანსაღი კონკურენციაა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. სიკო დოლიძის კინოკომედია; 2. ესპანური დილის სერენადა; 3. პირი, რომელიც განაგებს გემების დატვირთვა-გადმოტვირთვას ნავსადგურში; 4. არქტიკის ნორვეგიელი მკვლევარი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 5. პროგრესის მოწინააღმდეგე ადამიანი; 10. ბრაზილიური არაყი; 11. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 12. ღვინისა და ლუდის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 13. ბავშვთა გასართობი ცენტრი მთაწმინდის პარკში; 16. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ატლანტის აეროპორტი; 17. პოლონური სამეჯლისო ცეკვა; 19. ესპანელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 21. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ხორვატიაში; 23. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ამერიკული ფირმა.

თარაზულად: 6. გამოქვაბულში მცხოვრები პირველყოფილი ადამიანი; 7. სპარსული ლეგენდების, თქმულებების, მითების კრებული; 8. სამკაულების დასამზადებლად გამოყენებული შავი ფერის ფისიანი ქვანახშირი; 9. ჩინური ნავთობკომპანია; 14. ირლანდიური ჯინი; 15. სერბი კინორეჟისორი; 18. რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში; 20. ცხენოსნობის ერთ-ერთი დისციპლინა; 22. ისტორიული მოედანი პარიზში; 24. თვალის დაავადება, ახლომხედველობა; 25. ძვირფას ქვებზე მხატვრულად კვეთის ხელოვნება; 26. წყლით სამკურნალო აბაზანა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. თურინჯი; 2. ბორისფენი; 3. ფორსინგი; 4. კაიზერი; 5. ფაველა; 9. პუებლო; 11. მანტისა; 12. ფიუსტა; 14. ღერღედი; 18. ომეგა; 19. უწერა.

თარაზულად: 4. კულუხი; 5. ფიტოფაგი; 6. ტოლჩა; 7. ლიგნიტი; 8. პიკაპი; 10. ასთმა; 13. ჯუღელი; 15. ფაცერი; 16. გეტა; 17. კიტო; 20. ღვაწლი; 21. საფარა; 22. ზუგდიდი; 23. რიკოთი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ურთხელი; 2. ეპისტოლე; 3. აგრონომია; 4. ანანასი; 5. კაბრიოლეტი; 10. პოკერი; 11. მაჰარაჯი; 12. ბაიდენი; 13. აზბესტი; 16. ხორნაბუჯი; 17. სუვენირი; 19. არქაიზმი; 21. პედრი; 23. თლაშო.

თარაზულად: 6. არქიპელაგი; 7. ანაკლია; 8. ბენეტი; 9. ანდამატი; 14. უზუნდარი; 15. სპილბერგი; 18. ჰიჯრა; 20. კურიერი; 22. თითბერი; 24. მელასა; 25. ლუციფერი; 26. ლაშარი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

16 ნოემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7249

ევრო — 2.8432

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2328

100 რუსული რუბლი — 4.5177

ამინდის პროგნოზი 16 ნოემბრისათვის

კრიშტიანო რონალდუ შესაძლოა ბაიერნში გადავიდეს

მანჩესტერ იუნაიტედის ფორვარდი კრიშტიანო რონალდუ შესაძლოა ბაიერნში გადავიდეს სათამაშოდ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბაიერნის წარმომადგენლები ინგლისში იმყოფებიან და შესაძლოა მალე რონალდუსთან კონტრაქტიც გააფორმონ. რონალდუმ სკანდალურ ისტორიაში განაცხადა, რომ მას მანჩესტერში უღალატეს და ამ გუნდში კარიერის გაგრძელებას აღარ აპირებს. გარდა ამისა, კრიშტიანომ აღნიშნა, რომ ის მთავარ მწვრთნელ ტენ ჰაგს პატივს არ სცემს.

ტერ შტეგენი: „ბარსელონას დიდი პოტენციალი აქვს“



ბარსელონის მეკარე მარკ ანდრე ტერ შტეგენმა თავის გუნდზე ისაუბრა და თქვა, რომ ბარსელონას დიდი პოტენციალი აქვს და ამ პოტენციალს გამოყენება სჭირდება. ტერ შტეგენის აზრით, ბარსელონას ყოველთვის შეუძლია მოუმატოს: „მინდა, რომ ყველა გულშემატკივარს დავანახოთ ჩვენი რეალური სახე და ის, თუ როგორ შეგვიძლია უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლა. ტიტულების გარეშე არ უნდა დავრჩეთ“.

ალეგრი: „იუვენტუსი კარგ ფორმაში ჩადგა“

იუვენტუსის მთავარმა მწვრთნელმა მასიმილიანო ალეგრიმ თავის გუნდზე ისაუბრა და თქვა, რომ იუვენტუსის მოგებების სერია შემთხვევითი არ არის. ალეგრის თქმით, ტურინული გუნდი მომავალში კიდევ უფრო მეტს გააკეთებს: „მიხარია, რომ ძლიერი გუნდები დავამარცხეთ, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრ კომპონენტში უნდა მოვუმატოთ და წინააღმდეგობები გადავლახოთ. იუვენტუსი ამჟამად ოპტიმალურ ფორმაშია“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ცოლი ქმარს ეუბნება:
– სულ თავს გაგივიდა! ჩემი თანდასწრებით პორნოსაიტზე ხარ შემძვრალი!
– ძვირფასო, ეს შენი გვერდია ინსტაგრამში!

•••

მამაკაცი ქალს ეუბნება:
– ქალებთან მაშინ ვარ თამამი, როდესაც მთვრალი ვარ.
ქალმა ხელჩანთა გახსნა და არყის ბოთლი და ჭიქა გაუწოდა...

•••

გინეკოლოგთან მიღებაზე რიგია. ამ დროს ქალმა მოირბინა და რიგში მყოფებს ეუბნება:
– მე მხოლოდ უნდა ვკითხო!
– ჩვენ კი მხოლოდ უნდა ვანახოთ! – უპასუხა ერთ-ერთმა.

•••

უფროსი ხელქვეითს ეკითხება:
– რატომ დააგვიანეთ სამსახურში?
– და თქვენ რატომ გვიგვიანებთ ხელფასს?
– ჰო, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მაინც ხომ გაძღევთ.
– ჰოდა, მეც ხომ მოვედი სამსახურში...

•••

მამაკაცს ეკითხებიან:
– რითი განსხვავდება ქალი ქათმისგან?
– ქათამი თავის კვერცხებზე ჯდება.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:
– ამ დილით ჩემი მეზობელი თავის შვილს ისე უყვიროდა, რომ სასწრაფოდ დავალაგე ჩემი ოთახი, ჩავიცვი და წამოვედი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მარიკა ლორთქიფანიძის 100 წლის იუბილე გამოფენით აღინიშნება

ცნობილი ისტორიკოსის მარიკა ლორთქიფანიძის საუკუნოვანი იუბილე გამოფენით აღინიშნება.

22 ნოემბერს ხელოვნების სასახლეში არაერთი თაობის აღმზრდელის ნივთები და მხატვართა მიერ შექმნილი პორტრეტები გამოიფინება.

გიორგი კალანდია, ხელოვნების სასახლის დირექტორი:

– 22 ნოემბერს ხელოვნების სასახლეში აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნება. გამოიფინება დიდი ისტორიკოსის მემორიალური ნივთები, უნიკალური ფოტოქრონიკა, საარქივო მასალები და ქართველ მხატვართა მიერ შექმნილი პორტრეტები.

გეპატიჟებით ყველას, განსაკუთრებით კი მის სტუდენტებს, რომლებმაც კარგად იცით ჩვენი ძვირფასი მასწავლებლის ფასი.

ელისო ბოლქვაძის კონცერტმა გერმანიაში ანშლაგით ჩაიარა

გერმანიის იმპერატორის იოჰანეს ფილიპ ვონ ვალდერდოფის სასახლეში ქართველმა პიანისტმა ელისო ბოლქვაძემ სოლოკონცერტი გამართა. საღამომ, სადაც მუსიკოსმა კლასიკური სონატები შეასრულა, სრული ანშლაგით ჩაიარა.

„ვილა მუსიკა“, რომლის მიწვევითაც ელისო ბოლქვაძის ექსკლუზიური კონცერტი გაიმართა, გერმანიაში ცნობილი მუსიკალური ცენტრია და იმპერატორის მაღალ მუსიკალურ ტრადიციებს აგრძელებს. ბაროკოს სტილის ოქროსსარკეებიანი დარბაზი ყოველ წელს ცნობილ მუსიკოსებს მასპინძლობს და საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვასაც უწყობს ხელს.

იუნესკოს მშვიდობის არტისტ ელისო ბოლქვაძის სოლოკონცერტმა გერმანელი მაყურებლის აღფრთოვანება გამოიწვია.

იაკობ გოგებაშვილის კონკურსის გამარჯვებულები ცნობილია

იაკობ გოგებაშვილის სახელობის საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონია თბილისის ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში გაიმართა.

10 ნომინაციაში გამოვლინდა 11 გამარჯვებული. იაკობ გოგებაშვილის სახელობის საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურული პრემია გადაეცათ: გივი ჩიღვინაძეს, ნომინაციაში „საუკეთესო პოეტური წიგნი“ – „რითმოცანების წიგნი“; აკაკი დაუშვილს, ნომინაციაში „საუკეთესო პროზაული წიგნი ყველაზე პატარებისთვის, 3-6 წელი“ – „ხვლიკი კოსტას ამბები“; საღლომე კაპანაძეს, ნომინაციაში „საუკეთესო პროზაული წიგნი პატარებისთვის, 7-12 წელი“ – „ზღაპრები აფხაზეთზე“; ნატო დავითაშვილს, ნომინაციაში „საუკეთესო პროზაული წიგნი ყმაწვილებისთვის 13+“ – „გრძელი ამბავი ნისლთა მოსვლისა“; ირმა მალაციძესა და მათე გახელაძეს – „ზუზუნები და ღუტუნები“ და ია გიგოლაშვილს – „დინოზავრიდან კომპიუტერამდე“ (ავტორი ვასო გულეური), ნომინაციაში „საუკეთესო ილუსტრირებული წიგნი ყველაზე პატარებისთვის, 3-6 წელი“; ქეთევან ჯიშიაშვილს, ნომინაციაში „საუკეთესო ილუსტრირებული წიგნი პატარებისთვის, 7-12 წელი“ – „ღვთისმშობლის ცხოვრება“; ფიქრია ყუშიტაშვილს, ნომინაციაში „საუკეთესო საბავშვო დრამატურგია“ – „ცელქი ამბები ანუ სურათები საოჯახო ალბომიდან“; ინგა თეთრაძეს, ნომინაციაში „საუკეთესო დებიუტი“ – „რატომელა ანუ ცნობისმოყვარე ბიჭი“; მთარგმნელ არჩილ რაჭველს, ნომინაციაში „საუკეთესო ნათარგმნი საბავშვო/საყმაწვილო წიგნი“ – „ბანდიტი ბებია“, ავტორი დევიდ უოლიამსი და მანანა კარტოზიას, ნომინაციაში „საბავშვო-საყმაწვილო ინოვაციური პროექტი“ – „წიგნების სერია ბავშვობის თანამგზავრები“. თითოეულ ნომინაციაში პრემიის ოდენობა 5000 ლარს შეადგენს.

საღამოს რეჟისურაზე გიორგი მიქელაძის სახელობის თბილისის თოჯინების სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ნიკოლოზ საბაშვილმა იმუშავა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს: ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს ხალხური სიმღერის ანსამბლმა „მართვემ“, ვაჟთა გუნდმა „მძლევარმა“ და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის „ნიჭიერთა ათწლედის“ მოსწავლეებმა. დაჯილდოების ცერემონიის დაწყებამდე ცენტრის ფოიესა და მცირე დარბაზში თეატრალური წარმოდგენა გაიმართა. მაყურებელი „ნიჭიერთა ათწლედის“ მოსწავლეთა კონცერტსაც დაესწრო. გამოიფინა საქართველოს ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმსა და იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმში დაცული მწერლის პირადი ნივთები.

საღამოს უძღვებოდნენ მსახიობები რუსკა ქარქაშაძე და გიგო შიუკაშვილი. სცენის გაფორმებაში თბილისის მერიამ მიიღო მონაწილეობა.

ღონისძიებას საკანონმდებლო ხელისუფლებისა და ლიტერატურული სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ლიტერატურული კონკურსი „იაკობ გოგებაშვილის სახელობის საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურული პრემიის“ მოსაპოვებლად საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერითა და სსიპ „შემოქმედებითი საქართველოს“ ორგანიზებით მეორე წელია იმართება. კონკურსის მიზანია საბავშვო ლიტერატურის განვითარების ხელშეწყობა, ქვეყანაში საგამომცემლო სექტორის მხარდაჭერა, ლიტერატურული პროცესების განვითარება, ქართველი ავტორების პოპულარიზაცია და ახალი ნიჭიერი ავტორების აღმოჩენა.

იაკობ გოგებაშვილის სახელობის საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურული პრემიის მოსაპოვებლად კონკურსი აპრილში გამოცხადდა და მის ფარგლებში „შემოქმედებით საქართველოს“ 50-მა განმცხადებელმა მიმართა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

„ცეკვავენ ვარსკვლავები“ გიორგი ცაავამ და მზია ორველაშვილმა დატოვეს

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ მონაწილეებისთვის მეორე საკონკურსო ტური – კინოტური კიდევ უფრო დაძაბული აღმოჩნდა.

ვარსკვლავებმა და მათმა პროფესიონალმა მოცეკვავე-მეწყვილეებმა მსოფლიოს საუკეთესო კინოშედევრები გააცოცხლეს.

სოფო შევარდნაძემ, ირაკლი მაქაცარიამ და გოჩა ჩერტკოევმა კონკურსანტები შეაფასეს და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება ტელემაყურებელს დაუტოვეს.

კინოტურში გავარდნის კანდიდატებად დასახელდნენ გიორგი ცაავას და მზია ორველაშვილისა და ნინუცა მაყაშვილის და ირაკლი ძაძამიას წყვილები. ბოლო 60 წამში კი მაყურებელთა ხმების უმრავლესობით პროექტში ნინუცა მაყაშვილი და ირაკლი ძაძამია დარჩნენ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი



16 ნოემბრისათვის

ვერძი – ცდუნებას ნუ აჰყვებით. კომერციული საქმიანობა რეკომენდებული არ არის, დიდია მოტყუების ალბათობა. სიჯიუტე და უხეშობა კონფლიქტამდე მიგიყვანთ. **ჯერო** – ფინანსური მდგომარეობა კვლავ გიუმჯობესდებათ. ამის მიუხედავად, ნუ გარისკავთ. თუ თქვენი სამუშაო არ მოგწონთ, მის შეცვლას ნუ იჩქარებთ. **ტყუპები** – ახალი საქმეები შეგიძლიათ თამამად დაიწყოთ, მაგრამ რისკი გაუმართლებელია. თავქარიანობა არ გამოგადგებათ. **კირჩხიბი** – ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **ლომი** – ნუ იაქტიურებთ. იზრუნეთ სულიერებაზე. ამაო დაპირებები არ გასცეთ. შემოქმედებითი დღეა. **ქალწული** – დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება. ენერგია დაზოგეთ. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. ცდუნებას ნუ აჰყვებით. **სასწორი** – გეგმების რეალიზებას იოლად ახერხებთ. თუ დაგჭირდათ, მეგობრები დაიხმარეთ. ისინი ამას სიამოვნებით გააკეთებენ. **ღრიანკალი** – არაკეთილისმყოფელი, მძიმე დღეა. მიღებული ინფორმაცია აუცილებლად საგულდაგულოდ გადაამოწმეთ. საღამო ბუნებაში გაატარეთ. **მშვილდოსანი** – კარგი დღეა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ნაცნობობის წრის გაფართოება თქვენი წარმატების საწინდარია. **თხის რქა** – სამსახურში უფროსობა თქვენით კმაყოფილია. გელით კარიერული წინსვლა და სხვა სასიამოვნო სიახლეები. ეს განსაკუთრებით შემოქმედ ადამიანებს ეხება. **მერწყული** – კრიტიკული დღეა. სულიერ წონასწორობას უსიამოვნო ინფორმაცია დაგირღვევთ. თუმცა ეს მოდუნების საშუალებას არ მოგცემთ. სიტუაციას თამამი და გონივრული გადაწყვეტილების მეშვეობით გამოასწორებთ. **თევზები** – იყავით ჰუმანური, დამთმობი, მიმტევებელი. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. გაიკეთეთ წყლის პროცედურები.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯვროსვოხდი ↄ



შვეულად: 1. რაიმეს მარაგი; 2. მხარე გერმანიაში; 3. ტრაგიკულად დაღუპული ქართველი მეან-გინეკოლოგი, აკადემიკოსი; 4. საგმირო ეპოსი; 5. ინდიელისა და ევროპელის ქორწინების შთამომავალი; 9. ჩქარტემპიანი ამერიკული ცეკვა; 11. კინოკომედია „დაკარგული სამოთხის“ რეჟისორი; 12. იაპონიის იმპერატორთა ტიტული; 14. ოპერეტების „სილვას“, „მარიცას“ მუსიკის ავტორი; 18. ხმაურიანი ბრბო; 19. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი.

თარაზულად: 4. ამერიკული ჯიპი; 5. ფერწერული ტილო „შავი კვადრატის“ ავტორი; 6. მონასტერი სიღნაღის რაიონში; 7. სხეულის ხელოვნური ნაწილი; 8. კომბინაცია პოკერში; 10. მდინარე გერმანია-პოლონეთის საზღვარზე; 13. სპეციალური მიწაყრილი სარკინიგზო რელსების დასაგებად; 15. გადასახადების ამკრეფი დაწესებულება ძველად საქართველოში; 16. ზღვის წყალმცენარეებისგან მიღებული ქიმიური ელემენტი; 17. ტანსაცმლის მწარმოებელი ესპანური ფირმა; 20. ომონიმებით გარითმული ძველებური ლექსი; 21. სომხური ცეკვა; 22. გრძელდრუნჩიანი აფრიკული მაიმუნი; 23. კუთხე საქართველოში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა